



# ახალი განათლება

№33 (587) გამომდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



\*\*\*

ქნება გეტონს, ვინც კაი საქმეს შვეება, სახელი-სათვის შვეება? ანა, სახელი თავისთავად ძოდის ხოდზე და კეთლ საქმეს ზედ გამოეხება. ძანთალოა, არიან მისთანა კაცები, რომელნიც საკეთეს ექმდნენ ძანტრე მისთვის, რომ სახელი დაგვრჩებათ, ძამინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყდიან. ეს ცუდია, ძაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დავ, თუნც გავყდინ, ღლანდ ნიეთი კარგი რამ იყოს, დავ, საქმე საქებური იყოს და გულის წადლის გავხრეკა ღვთის ნებაზედ ძივადტით.

\*\*\*

შეწყნარება დაგვრებას არ ძნებნავს, გინდა თუ არა, არამედ ბაყიყსა, რომლითაც უნდა ძთქტეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღძღვრს. ბაყიყით ძთქტევა კდკე მას ძქვიან, რომ ძთქტელს, თუ გძკითხველს საბუთი გავუხრნიკით, საბუთი აუწინით თქვენს საკუთარ სასწინზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდით და ძისაწყავი ისე ძთუწყათ, ყოფლად საკარბისი საქციელი გინებაგანსნდლისა და ძანთლა განათლებულის კაცისა სწინზედ ეს გზა და სხვა არაა. ვისაც ეს არა სწინს, ცყუფლად თავსა სდებს განათლებაზე, ცყუფლად აძნიყვებს თავისთავსაც და სხვისაც, განათლებული ვართ, იგი ყოველ გინე-ბდაძმულზედ უარესია.

\*\*\*

ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი მისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ იჩქუენ და ზოგაც მისთანაა, რომ თუ არ იჩქუენე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწინზედ მისთანა ადგლებია ძამებარ გინებისათვის, რომ თუ არ იჩქუენე, ვერას დაინახავ.

**აკტუალური თემა**  
**რადენიეე მოსაზრება**  
**უეაღლესი განათლების**  
**სინტეზის შესახებ**

გვერდი 2

**შვედური დღიურები**  
**ნიგნებით**  
**ალმონილი საყარო**  
**ალგერანგიული მოღელი**  
**ძართული საგავგომ**  
**გიგლიოთიქანისთვის**

გვერდი 5-8

**იურისტის კონსულტაცია**  
**ვედაგომთა**  
**შეკითხვებს პასუხობს**  
**სამთხ-ს იურისტი**  
**თამარ ავალიანი**

გვერდი 9

**ავთოღიკა**  
**როგორ მოვეზაღლოთ**  
**სასერგიფიქსიო**  
**გამოცდისთვის**  
**საქართველოს და**  
**მსოფლიოს ისტორიაში**

გვერდი 10

**ნინის თარი**

გთავაზობთ ტესტების კრებულს ძართულ ლიტერატურაში, რომელიც **ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს**

თამარ გელიგაშვილი  
ავტორი

**ტესტი**

მართულ ლიტერატურაში  
**საატესტატო გამოცდისათვის**

ფონი I

- შუაინის ნაწილა
- აბო თბილდის ნაწილა
- გიგორი ბანთლის ტარე
- სიბრძნე სიბრძნისა
- ღავითინი

თამარ გელიგაშვილი  
ავტორი

**ტესტი**

მართულ ლიტერატურაში  
**საატესტატო გამოცდისათვის**

ფონი II

**შოთა რუსთაველი**  
**ვეფხისტყაოსანი**

თამარ გელიგაშვილი  
ავტორი

**ტესტი**

მართულ ლიტერატურაში  
**საატესტატო გამოცდისათვის**

ფონი III

- გიგორი ოგაღიანი
- ნიკოლოზ აკაბთაფილი
- ილია ჭავჭავაძე
- აბაში წიგნიძე
- ალექსანდრე უჯაღბი
- ვაჟა შვაბაძე

**ნიგნი I – ძველი ძართული მწერლობა;**  
**ნიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;**  
**ნიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.**

ავტორები:  
 თამარ გელიგაშვილი,  
 ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი - **10** ლარი

♦ კრებულეში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;  
 ♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;  
 ♦ სწორი პასუხების შემოსაზრის შედგებად თქვენ გაქლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;  
 ♦ თქვენ შექლვთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულეების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

# რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების სისტემის შესახებ



გიორგი უშაკოვი, განათლების მინისტრის მოადგილე

უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ფაქტორი არის უმაღლესი სასწავლებლებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ურთიერთობა, რომლის ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებლად უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო გვევლინება. იგი აღწერს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაძვევით მიღწეულ სწავლის შედეგს, ანუ აყალიბებს უმაღლესი განათლების ზოგად ძირითად მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტები ქმნიან და ახორციელებენ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. განათლების სამინისტრომ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს, აგრეთვე სხვა დადგენილი სტანდარტებისა და ნორმატივების შესაბამისად უნდა შეა-

ფასოს (უხელმძღვანელოს შეფასების პროცესს) ძირითად მოთხოვნათა შესრულება – ავტორიზაციის, აკრედიტაციის და ყოველწლიური თვითშეფასების მექანიზმების საშუალებით. რაც შეეხება დანერგბულ უმაღლეს სასწავლებლებს – სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის, სხვადასხვა სასწავლო კურსის შინაარსსა და სტრუქტურას, სწავლების ტექნოლოგიებს, სწავლის შედეგების მიღწევის გზებს, სასწავლო და კვლევითი პროცესების წარმართვას, პერსონალით, განსაკუთრებით, აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებას, მის აკადემიურ თავისუფლებას, – ამ საკითხებში უნივერსიტეტს სრული ავტონომია უნდა ჰქონდეს.

უმაღლესი განათლება არის განათლების ის საფეხური, რომელიც შეუძლებელია იყოს საყოველთაო, რადგან შესაბამის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს საჭიროებს, საჭიროებს წინა საფეხურზე ასათვისებელ აუცილებელ ცოდნას – საფუძველს შემდგომი განათლების მიღებისა. ამიტომ, უმაღლესი განათლების ხარისხის ასამაღლებლად, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტების სასკოლო განათლების დონე, რაც უკანასკნელი ორი-სამი წელი გარკვეულ პრობლემებს ქმნის. თუ ახლად ჩარიცხულ სტუდენტს ჯეროვანი სასკოლო განათლება არ აქვს, მას უჭირს უმაღლესი განათლების სასწავლო კურსების ათვისება, დიდი დრო იხარჯება სასკოლო განათლების ხარვეზის ნაწილობრივ მინიჭებულ მოსაზრებულად, რაც ხელს უშლის, აფერხებს ძირითადი მიზნის განხორციელებას. ვითარებას ართულებს უმაღლესი სასწავლებლის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდის მეოთხე საგნის თავისუფალი არჩევა.

კონტინგენტის მოსაზრებად ზოგიერთი უნივერსიტეტი მეოთხე საგნად განსაზღვრავს სპეციალობისთვის შეუსაბამო დისციპლინას, მაგ.: სამართლის ფაკულტეტზე მეოთხე საგნად – ქიმია, ბიოლოგია ან ფიზიკა, ან ბიზნესის ფაკულტეტზე, მათემატიკის ნაცვლად – გეოგრაფია და ა.შ. როგორც ჩანს, ერთიანი ეროვნული გამოცდების მინიმალური ზღვრის მოთხოვნებიც გადასახედა. არც წინასწარჩვენო მასობრივი დამატებითი ჩარიცხვები უწყობს ხელს უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას.

უმაღლესი განათლების ხარისხის საკითხს უკავშირდება დაფინანსების პრობლემა. თუ უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება გვსურს, უნდა გაიზარდოს დაფინანსების მოცულობაც, „იაფი“ უმაღლესი განათლება, უმეტესწილად, არის უხარისხო განათლება. ერთი სტუდენტისთვის დადგენილი 100%-იანი გრანტის ოდენობა, ჩემი აზრით, უნდა გაიზარდოს, მაგრამ ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარების გათვალისწინებით, ჯერჯერობით სახელმწიფო თავს იკავებს, გრანტების რაოდენობა შეზღუდულია და ბევრ სტუდენტს, რომელმაც ვერ მოიპოვა სახელმწიფო გრანტი, თავად უწევს საკუთარი განათლების დაფინანსება, ხოლო გრანტის ოდენობის გაზრდა თავისთავად გაზრდის თვითდაფინანსებისთვის საჭირო თანხის ოდენობას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რაოდენ მკაცრი და მძიმე სიმართლეს უნდა იყოს ეს, გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში უმაღლესი განათლება არ არის საყოველთაო და საჭიროებს შესაბამის ინტელექტუალურ და მატერიალურ შესაძლებლობებს. საქართველოში მოქმედი სტუდენტთა დაფინანსების ძირითადი პრინციპები მისაღებია, თუმცა დასახვეწი. მაგალითად, სახელმწიფომ, სხვადასხვა

ფონდებმა, სოციალურად შეჭირვებულ ნიჭიერ სტუდენტებს, გრანტის გარდა, დამატებითი სპეციალური პროგრამებით უნდა შეუწყონ ხელი. ამასთან, სტუდენტისგან შემოსული სწავლის საფასური არ უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების ერთადერთი წყარო, დაფინანსება უნდა იყოს დივერსიფიცირებული, ეს განსაკუთრებით კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შეეხება.

\*\*\*

ერთ მტკივნეულ საკითხს უნდა შევეხო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის ბრძანებით, რომელიც პრაქტიკულად 2015 წლიდან ამოქმედდება, დადგინდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში ბაკალავრის ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად საჭიროა ინგლისურ ენაში სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება, ანუ წლების, სულ მცირე ოთხი წლის, მანძილზე მიღებული განათლების საპირწონე არის სასერტიფიკატო გამოცდა ინგლისურ ენაში და რაოდენ მაღალი ხარისხის განათლებაც უნდა ჰქონდეს მიღებული ახალგაზრდას, იგი ვერ მიიღებს დიპლომს, თუ არ ფლობს ინგლისურ ენაში B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ყველას კარგად ესმის თანამედროვე მსოფლიოში ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის ენის, საჭიროება, მაგრამ ამგვარი მეთოდით მისი შესწავლის, რბილად რომ ვთქვათ, დავალებულია, ვფიქრობ გასაუქმებელია, რადგან ენიწარმდგეგმა უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, რომლის მიხედვითაც, 240 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, კანონი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად და დიპლომის გასაცემად სხვა დამატებით მოთხოვნებს არ აფიქსირებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს  
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ ბიორგი მარგველაშვილს

მოგვხსენებთ, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სისტემაში ჩადენილი გადაცდომა და არაერთი დანაშაული, რომელმაც, ფაქტობრივად, განათლებისა და მეცნიერების სისტემის ნგრევა გამოიწვია. სავალალო შედეგი მოგვცა საქმისადმი არაპროფესიონალურმა მიდგომამ და მოჩვენებითმა რეფორმებმა.

მთლიანად დაინგრა პროფესიული განათლება გაუანალიზებელი ოპტიმიზაციის, გასხვისებისა და ლიკვიდაციის შედეგად. ერთმანეთში აირია დაწყებითი საშუალო და უმაღლესი განათლება. ათიათასობით ახალგაზრდას მოესპო პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა, დაუსაქმებელი დარჩა ათასზე მეტი პედაგოგი, რაზედაც კონკრეტულად მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №700 ბრძანებით, 2009-2012 წლებში, ლიკვიდირებულ იქნა შემდეგი პროფესიული სასწავლებლები: სენაკის, ჩხორონწყუს, გორაბერეჯოლის, რუსთავის, რუსთავის „იმედი“, ბორჯომის, კაზრეთის, ცაგერის, ზესტაფონის, დიდი ჯიხაიშის, კასპის, ქარელის, წინამძღვრანთკარის, ქუთაისის №2 პროფესიული სწავლების ცენტრი. გარდა ამისა, მ. თოიძის სახელობის სამხატვრო, ხობის, ბათუმის №2, თბილისის პოლიტექნიკური სწავლების ცენტრები. აგრეთვე, წინა წლებში, ლიკვიდირებულ იქნა ზუგდიდის პროფესიული სასწავლებელი-კოლეჯი, თბილისის სატრანსპორტო, საჩხერის, თიანეთის, ნინოწმინდის, ხაშურისა და დუშეთის პროფესიული სწავლების ცენტრები. ამასთანავე, კანონდარღვევით და პროფესიული განათლების სისტემის უგულვებლყოფით გადაცემულია ტექნიკური უნივერსიტეტისათვის დიდი ჯიხაიშისა და ტყიბულის პროფესიული ცენტრები, ახალქალაქის პროფესიული სასწავლებელი.

ამჟამად გამოიკვეთა საშიშროება იმისა, რომ აგრარულ

უნივერსიტეტს და მის დამფუძნებელ კახა ბენდუქიძეს მიეციდოს ოთხი პროფესიული კოლეჯი – ოზურგეთის, გორის, თელავის და თბილისის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“.

უსაფუძვლოდ, მოსახლეობის სურვილისა და ცენტრების ტერიტორიული განლაგების გათვალისწინების გარეშე მოხდა თბილისში, ბათუმში, ხაშურის რაიონში პროფესიული ცენტრების გაერთიანება-ლიკვიდაცია.

კანონის უხეში დარღვევით და თითქმის გამონოვლი მიზეზით, 2011 წელს, მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამსახურიდან გაანთავისუფლა სამი საუკეთესო ბაზების მქონე პროფესიული კოლეჯის მონიავე დირექტორები: თამარ ტაბიძე, ზაზა ცირაშვილი და სერგო მისურაძე. მიგვაჩნია, რომ მათ მიმართ უნდა აღდგეს სამართლიანობა.

ვინაიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები უნდა ითვალისწინებდეს ევროსტანდარტების მოთხოვნებს და მიმართული უნდა იყოს პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე შიდა და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადებისაკენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შედგეს ქვეყნის პრიორიტეტული დარგების – აგრარული, ტურიზმის მომსახურების სფეროს და სხვა დარგების ხელშეწყობად და გასაძლიერებლად ქვეყანაში პროფესიული განათლების ქსელის განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტიული გეგმა, რომელსაც დაამტკიცებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ამისათვის, გთხოვთ, საქართველოს მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ხარჯებში გაითვალისწინოს სათანადო დაფინანსება, რომელიც, ჩვენი გათვლით, არის 5-6 მილიონი ლარის ფარგლებში და ეს შეესაბამება ევროპის ქვეყნებში მიღებულ ნორმატივებს და მათ შესაბამისად, პროფესიული განათლებისათვის, ყოველწლიურად, გამოიყოფა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნების 5-6%. რაც, სავარაუდოდ, 2013

წლის დასამტკიცებელი ბიუჯეტიდან შეადგენს 30 მილიონ ლარს.

ვითვალისწინებთ რა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის პროფესიული განათლების აუცილებლობას და ახალგაზრდებისათვის ხელმისაწვდომობას, გთხოვთ, შეისწავლოთ ეს საკითხი. ჩვენ, ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივების სახელით, მოგმართავთ თხოვნით, აზმოფხვრილ იქნეს 2009-12 წლებში ჩადენილი უკანონო ქმედებები, ჩვენ მიმართ განხორციელებული ტერორი და რეპრესიები, განიხილოთ და კანონიერების ფარგლებში აღადგინოთ 2013 წლიდან ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლო დაწესებულებები.

მამუკა ჭაბუკიანი  
მამუკა ახვლედიანი  
მანანა ჭანტურია  
დინა ბლიაძე  
როინ ნიძარევილი  
თეიმურ ფარაძე  
ირაკლი ფაჩულია  
კახა ბაბილოძე  
დათა ჯალაღონია  
თეიმურ ძნელაძე  
ჯუმბარ ბაბრიალაშვილი  
ივო კახანაძე  
მაია ნატროშვილი  
ივოლდა ხასია  
ვისტანტო მუჯირი  
ნუგზარ მიქაძე  
გოჩა დარსალია  
ნოზან თათარიშვილი  
გივი მანჯგალაძე

## აქტუალური თემა



**მაია ტიკიშვილი**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და  
ბიზნესში ინფორმაციული  
ტექნოლოგიების კათედრა  
(ამჟამად მონვეული პროფესორი)

გთავაზობთ ჩემს ხედვას უნივერსიტეტების, კერძოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ:

1. მიმანია, რომ უნივერსიტეტი უნდა ცდილობდეს კარგი კადრების შენარჩუნებას. უნივერსიტეტის გარეთ დარჩენის შემთხვევაში, უნდა ზრუნავდეს მასზე და სადაც ამდენი ხანი შედგა ღირსეულად უმოღვანაო, უსარგებლო თოჯინასავით არ უნდა ისროდნენ და უყურადღებოდ არ უნდა ტოვებდნენ. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გააგრძელოს სამეცნიერო მუშაობა, სახელმძღვანელოების მომზადება და ა. შ.

2. კათედრების მიერ უნდა ხდებოდეს სამეცნიერო-კვლევითი თემების, პროექტების შესრულება (სავალდებულოდ), ხოლო რაც შეეხება გრანტებს, დაიდოს ისეთი მექანიზმი, რომ მხოლოდ ვინც წინასწარ არ იყოს ხელმისაწვდომი, ისევე როგორც კათედრისათვის გაიცემა პროგრამები მონაწილეობის მიღება.

3. უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტის პერსონალს შრომის თანაბარი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, რათა საუკეთესო კადრების გადინება არ მოხდეს იმ ფაკულტეტებიდან, სადაც სტუდენტთა ნაკლები კონტინგენტი; მონვეული პედაგოგისა და შტატში მყოფი პედაგოგის ხელფასები, ერთი და იმავე ხარისხის პირობებში, დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს; ასევე გადასახედა ის გარემოება, რომ სხვადასხვა ხარისხის მქონე პედაგოგთა ხელფასები ბევრად სცილდება ერთმანეთს, დაბალხარისხიანს, უფრო მეტი საათების რაოდენობის პირობებშიც კი, ბევრად ნაკლები ანაზღაურება აქვს, ევროპულ უნივერსიტეტებში ასე ხდება.

4. ხელახლა დასაგეგმია სამუშაო ადგილები, რადგან ბოლო წლებში, ლექტორების შემცირებისა და დარჩენილი პროფესორების ხელფასის გაზრდის მიზნით, ასეთი ტენდენცია ნაკლებად – რაც შეიძლება ხელშეწყობდეს მცირდება სასწავლო დისციპლინათა რიცხვი, ამავე მიზნით ხდებოდა ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის უსასრულოდ ზრდა, ლექციაზე კიდევ რა უჭირს, თუ აუდიტორია ისეა მოწყობილი, რომ ლექცია კარგად ისმინება, მაგრამ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მკაცრად უნდა განისაზღვრებოდეს მათი რიცხვი.

5. შესაძლებელი უნდა იყოს სასწავლო პროგრამების დინამიური ცვლილება, დროისა და საბაზრო მოთხოვნების მიხედვით. სასწავლო დისციპლინების შერჩევა, მათი კრედიტების განსაზღვრა სტუდენტის კვალიფიკაციური ცოდნის მიცემის პრიორიტეტით უნდა ხდებოდეს და არა დეკანის მხრიდან სრული პროფესორებისადმი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით. ამ გარემოების გამო, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ამჟამად, გადასახედა როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის პროგრამებიც.

6. მიმანია, რომ პროფესორთა შესარჩევ კონკურსში ერთ-ერთი აუცილებელი პირობა უნდა იყოს მასწავლებელთა პროფესიული დონის შემოწმება და მასალის გადმოცემის უნარი, რაც მის მიერ წაკითხული ლექციის მიხედვით უნდა განისაზღვრებოდეს. ყურადღებას იმეცადინევეს ასევე სტუდენტთა მხრიდან მონიტორინგის შედეგებსაც.

7. ყველა რესურსცენტრს და ყველა კომპიუტერულ ლაბორატორიას დამონტაჟებული პროექტორი უნდა ჰქონდეს, რომ პედაგოგებს მისი ტარება არ უნევდეთ და მის დამონტაჟებაზე დრო არ იკარგებოდეს.

8. დღევანდელმა რეალობამ დაგვარწმუნა, რომ პირველი კურსის სტუდენტების 98% (ნებისმიერ უნივერსიტეტში) ვერ ფლობს საოფისე პროგრამებს, ტექსტურ პროცესორში მხოლოდ შრიფტის და მისი ფერის არჩევა იციან, დანარჩენ საოფისე ტექნოლოგიებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია, მათ ელემენტარული დოკუმენტის მომზადებაც კი არ შეუძლით, რაც ალბათ იმიტომა გამოწვეულია, რომ გადასახედა სასკოლო სახელმძღვანელოები ინფორმატიკაში, დანყებულ პირველი კლასიდან და შესაბამისი დონის მასალის მიწოდება. თსუ-ში ინფორმატიკა/ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები ისწავლება მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სხვა ფაკულტეტებიდან ამოღებულია. ესეც, ალბათ, საათების შემცირების მიზნით გაკეთდა, რაც სამწუხარო რეალობაა. ყველა უმაღლეს სასწავლებელში კომპიუტერულ განათლებას ისევე უნდა მიექცეს ყურადღება, როგორც უცხო ენებს. პირველ კურსზე საოფისე ტექნოლოგიების შესწავლა (მათ უმეტეს, Excel-ის და Access-ის) ბევრად დაეხმარება სტუდენტებს შემდგომში სხვა პროგრამების ათვისება-ადაპტაციაში.

9. დაბოლოს, ძალიან მნიშვნელოვანად მიმანია იმ გარემოების აღნიშვნა, რომ დღეს თსუ-დან, ბოლო წლების არაობიექტური კონკურსების წყალობით, ადგილი ჰქონდა ღირსეული კადრების კონკურსგარეშე დარჩენას. იქნებ დადგა დრო, რომ ეს ხალხი დაეუბრუნოთ და უნივერსიტეტს, რათა ის გრძნობა, მოკრძალება და მოვალეობა, რაც მათ ამ წმინდა ტაძრის მიმართ აქვთ, გადასცენ მომავალ თაობას და ხელი შეუწყონ უნივერსიტეტში ეროვნული სულის მუდმივ გაღვივებას.

## ინფორმაცია

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებას ერთკვირიანი მუშაობის ანგარიში ჩააბარა

მინისტრმა ურნალისტებს მოადგილეები წარუდგინა და მათი კომპეტენციები გააცნო. მინისტრის პირველი მოადგილე **თამარ სანიკიძე** – საფინანსო სფეროს, **დავით ზურაბიშვილი** – უმაღლეს განათლებას და მეცნიერებას, **ქეთევან ნატრიაშვილი** – პროფესიულ და ტექნიკურ განათლებას, **ალექსანდრე გოგლიჩიძე** ზოგად განათლებას გაუწევს კურირებას. გიორგი მარგველაშვილმა გამოცდების ეროვნული ცენტრისა და მანდატურის სამსახურის ხელმძღვანელებიც წარადგინა. გამოცდების ეროვნულ ცენტრს ისევ **მაია მიმინოშვილი** უხელმძღვანელებს, ხოლო მანდატურის სამსახურს – **ლევან აბაშიძე**. ურნალისტებთან შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა: ახალ საგამოცდო მოდელზე; განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობაზე; საგრანტო დაფინანსების გაზრდაზე; უმაღლესი განათლების განვითარების მიზნით, რეგენტთა საბჭოს ამოქმედებაზე და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხებზე. გიორგი მარგველაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ განათლების სისტემა დეპოლიტიზირებული და დეცენტრალიზებული გახდეს და ყველა მოადგილე, თავის საკურაციო სფეროში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას რეგულარულად მიაწვდის.

### ახალი ტრენინგ-პროგრამა მასწავლებლის სახლში

მასწავლებლის სახლში დაიწყო ახალი მიმართულების ტრენინგ-პროგრამა – „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარება და მეფასება“. პროგრამაში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორის მოადგილეები სასწავლო დარგში. 12 დღის განმავლობაში, ისინი სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარების ძირითად მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს ათვისებენ. ტრენინგებზე ყურადღება გამახვილდება ისეთ თემებზე, როგორცაა: – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარების აუცილებლობა და საკუთარი როლის განსაზღვრა ამ პროცესში; – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარების ძირითადი მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გაცნობა; – იმ სფეროების გამოყოფა, რომელთა განვითარება ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფას სკოლაში; – სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, როგორც სწავლისა და სწავლების ხარისხის განვითარების მნიშვნელოვანი ტექნოლოგიები. ტრენინგის მონაწილეები, ასევე დაეუფლებიან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მათ დაეხმარება მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებასა და კონსულტირებაში. მსგავსი ტრენინგების განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის ბაზაზე კვალიფიციური ჯგუფების შექმნას, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ სკოლებში განათლების ხარისხის ამაღლებას. აღნიშნული აქტივობები მნიშვნელოვანია განათლების სისტემის დეცენტრალიზაციისა და სკოლების ავტონომიურობისათვის.

# კონკურსი უფროსკლასელთათვის „გაიბე მბტი პენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ აცხადებენ ერთობლივ კონკურსს თემაზე „გაიბე მბტი პენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

**კონკურსის მიზანია:** გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დაახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები და გააზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერესი არამატერიალური საბანკურის დაცვისათვის.

**კონკურსის განმარტება ორ ტურად:**  
**პირველი ტური**  
ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შიდაპირი, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ქუჩისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა. სკოლის შიგნით შიგნითი საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს გაზეთი „ახალი განათლება“ რედაქციაში ([axaliganatleba@gmail.com](mailto:axaliganatleba@gmail.com)). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მსახივრები. გადმოგზავნის ვადაა 20 ნოემბერი.

საინტერესო წინადადებაები მონაწილეობას მიიღებენ მთელი ტურის მიმართ. პირველი ტურის გამარჯვებულნი, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს და წარადგინენ მას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტატუსის მისანიჭებლად. საუკეთესო ნიმუშებს 20 დეკემბრამდე მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის“ სტატუსი. საინტერესო წინადადებაების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, კლასი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სივლით და წოდებით – „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მომავალი“. საუკეთესო ნიმუშები გამოქვეყნდება გაზეთ

„ახალ განათლებაში“.

**საკონკურსო ნიმუშის წარდგინის ფორმა:**  
1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – დასახელება  
2. იდეის ავტორი – სახელი, გვარი  
3. ხელმძღვანელი პედაგოგი –  
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება –  
5. სკოლის დირექტორი –  
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) –  
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა

**მოკლე აღწერისათვის უახსნაზე შემდეგ კითხვებს:**  
♦ რას გულისხმობს თქვენ მთელი ნიმუში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ – 5-6 წინადადება.  
♦ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.  
♦ რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში – საჭირო მასალა (ძეგ, ძეგ, ბატირა, მბტი, საკვიპი პროდუქტი და ა.შ.), მონაწილეების რაოდენობა (დედასახელები, საბავშვო, შოლი, ლოგო, რიტუალი, წესი და ა.შ.), მონაწილეთა პროფესია (ხევისპირი, მარტაპი, ხეივანი, მხარეული და ა.შ.), შესაბამისი აინფი, წოდებისა და რაოდენობა, პირადი პირობები ან სხვა ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის შესასრულებლად.  
♦ რა როლი ინიჭება თქვენ მთელი ნიმუში საზოგადოების კულტურულ, ან სამაშრ-ნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაახაზოთ თქვენ მთელი ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის (5-6 წინადადება).  
სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

**გვერდითი მისამართი:** სამუშაო დღეებში – (32)298-39-24, 13.00-15.00სთ ან 599 62 34 99; [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com)  
**გაიბე მბტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ** – იხ. „ახალი განათლება“ №30

ქადაგონთა დასახარებლად

ქართულ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები

ნარიკი მიორა დასასრული

ბრიგოლ მრბელიანი

დალესტანში შამილთან 15-წლიანი ბრძოლისას, ორბელიანს ჯერ კიდევ შეეძლო ეთქვა: „მამა ვაცხოხვნი, ეს სულ საქართველოს სისხლის ღალატია...“

ქვეშევრდომული მზაობა ორბელიანისა ისევეა შენიშნული და დაფასებული ხელისუფალთაგან, როგორც მისი პიროვნული ნიჭი, გონიერება, მეომრული გაბედულება და საზრისიანობა: შეწყნარებული, ბალტიისპირეთიდან კავკასიაში დაბრუნებული გრიგოლ ორბელიანის კარიერა ბატალიონის უფროსობით იწყება და შემდგომ, მას ხან კავკასიის ჯარების სარდლის როლში ვხვდებით, ხან დალესტანის მმართველისა, ხან თბილისის გენერალ-გუბერნატორის... გრიგოლის პატივმოყვარეობისათვის ყველაზე საამო, ეტყობა, მაინც ის პერიოდები იყო, როდესაც იგი კავკასიის მთავარ-მართებლის მოვალეობას ასრულებდა და ერთპიროვნულად განაგებდა ამ შოთთან მხარეს.

1872 წლის შემოდგომაზე, სამხედრო მოღვაწეობის 50 წლისთავი გრიგოლ ორბელიანს თბილისში ჩამოსვლამ იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ პირადად მიულოცა და სათანადო რესპონდენტთან ერთად, იმპერიის უმაღლესი ჯილდო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი გადასცა.

აკი იმეორებდა ხშირად ყაფლან ორბელიანი – „ზურაბიანი ნინ წაიღინე“. სხვათა შორის, აქ, გრიგოლთან ერთად, მისი შუათანა ძმაც იგულისხმებოდა – გენერალი ილიაკო ორბელიანი, მამაცი მეომარი, შამილთან ტყვედ წამყოფი და უმცროსიც – ბრძოლის ველზე დაღუპული ზაქარია, რომლის ქვრივსა და ვაჟიშვილსაც გრიგოლ ორბელიანი თავდადებულად პატრონობდა.

70-იანი წლებიდან გრიგოლ ორბელიანს სამხედრო სამსახურისათვის თავი უკვე განუბეზღებელი აქვს, მრავალ საზოგადოებრივ ნამოწყებაშია ჩართული და უკვირს, როგორ ბედავს ახალგაზრდა, ენაკვიმატი პოეტი აკაკი წერეთელი საგანგებო ფელეტონში ლვანლოსილი პოეტი-გენერალი თავსეყვარებულ „ახმედ-ფაშა კახაბერად“ მონათლოს, რაღაც უცნაურ ფარშევანგებს მისტიროდეს და ოხუნჯობდეს:

გვასწავლეთ, საით გაფრინდა ის ჩიტი ღვთით-მადლიანი, და მოგვაშორეთ, არ გვიინდა ეს დათვი ორ ბელიანი. (წერეთელი 1950: 233)

განუთი „დროება“ (1872 წ. 28 ივლისის ნომერი), რომელშიც ეს ფელეტონი იყო დაბეჭდილი, ორბელიანის მსახურს – სოლომონკას შიშით შეაქვს პატრონის კაბინეტში...

ამ გასვენებაზე: პოეტის ბიოგრაფი იონა მუხარბია საგნებით სამართლიანად შენიშნავდა, რომ: „უცოლ-შვილო კაცის ცხოვრებაში მოსამსახურეს, მეტადრე იმისთანა მოსამსახურეს, რომელიც განუშორებლად ახლავს კაცს მთელი სიცოცხლე, დიდი ადგილი უჭირავს... ორბელიანისათვის მოსამსახურენი ნამდვილი მეგობარნი იყვნენ, რომელთაც ის სიტყვას უგონებდა, რომელიც ისე დაახლოვებულად გრძნობდნენ თავს პოეტთან, რომ ზოგჯერ უჯავრდებოდნენ კიდევ.“

უხუცესი მათგანი – ნინიკა ემსახურებოდა ორბელიანს ორმოცდაათი წელიწადი... იმის წერილებში ხშირად შეხვდებით ნინიკას ამბავს: „ჩემი ნინიკა დაიჭრა“, „ჩემს ნინიკას ჯვარი დაესწერე“, „ჩემი ნინიკა ავადა მყავს“ და სხვ. ამგვარები. ზახარკა ემსახურებოდა პოეტს ლეკების დროიდან... უმრწემესი – სოლომონი იყო ხელზე მოსამსახურე ბიჭი პოეტისა სიბერის დროს... „მე ვარ დავრდომილი, რომელსაც არ გამოადგა არცა და, არცა რძალი, არცა სხვა ვინმე – სწერდა პოეტი ხუმრობითა თავის რძალს ქეთევან ორბელიანს – და დამრჩა ჩემ ნუგეშად ჩემი სოლომონკა, ღმერთმა მიცოცხლოს, ესეც კმარა ჩემთვის“ (მუხარბია 1954: 128).

ამ სენტიმენტალური წიაღისგლის შემდგომ, თუ კვლავ დაუზღვრებდებით გრიგოლ ორბელიანის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებას, მის მიმართებებსა და შეფასებებს, შეიძლება მისი ცნობილი „მუშა ბოქულაძეც“ გავისხეწოთ. მაგრამ არა როგორც გრიგოლ ორბელიანის სოციალური იდეების ევოლუციის დასტური, არამედ როგორც გულაჩუყებელი არისტოკრატიის წარმოსახვის სურათი; შესაძლოა, რადიკალური ახალთაობის შეხედულებათა ანარეკლიც. დაიხ, იმ თაობისა, იმ „თერგდალეულების“, რომელთა ერთ-ერთმა მესვეურმა ნიკო ნიკოლაძემ (იმხანად, იგი „რიონელის“ ფსევდონიმით წერდა) გერცენის ემიგრანტულ ჟურნალ „კოლოკოლი“ (ლონდონში რომ გამოცემდნენ) გამოქვეყნებულ სტატიებში, მას, გრიგოლ ორბელიანს – თბილისელი ხელოსნების ამბოხის ჩახშობასთან დაკავშირებით, – „ულტრასენტიმენტალისტი პოეტი“ და „ზომიერად მომეშჩანო რუსი ვიცე-მეფისნაცვალ“ უწოდა.

როგორც სამართლიანად შენიშნა კიტა აბაშიძემ, გრი-

გოლ ორბელიანი ძალზე ხშირად აიგივებდა თავის ბედს საქართველოს ბედთან. ამიტომაც, „თერგდალეულთაგან“ შეურაცხყოფილმა, მან მარტო თავისი თავი კი არა, მთელი საქართველო გამოიგლოვა – ეს რა ახალთაობა მოვიდაო: მოვიდნენ... და რა? სულ ჩავგვამწარა... ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..

.....  
სხვათა ხელი ჰყვეს კეთილსა საქმეს: სტამბით მოჭვინონ სწავლა მამულსა!.. აღჩნდნენ მწერლები, ჟურნალისტები, ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!.. მათ უსწავლელთა, ცრუ რუსთაველთა, სრულ წავივილიწეს ენა მდიდარი. ენა მაღალი, მის ძალი, მაღლი. უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!.. ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!.. (ორბელიანი 1959: 68-70)

როდესაც ხუთიოდე წლის შემდეგ (ეს კი XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულია), უკვე მხცოვანი გრიგოლ ორბელიანი პოეტურ სიტყვებს უბრუნდება და თავის ლირიკულ რეჟისს ერთ-ერთ საუკეთესო გვერდს შემატებს – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ეს მოტივი – „საბრალო, დაქცეული საქართველოსი“, – კვლავ მეორდება. ოღონდ, ამჯერად, უკვე როგორც გულდამწვარი მამულშვილის გოდებით ნათქვამი:

ვაპ თუ რაც წახდეს ველარა აღსდგეს, ველარ ალყავდეს ახლის შევენებით? და რაც დაეცა ის წარიტაცა შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი! ჰე, ცრუ სოფელო, დაუნდობლო, შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ? დიდება ჩვენი, ცად სხივ-მიმფენი, ნუთუ ესლა გვაქვს, ვხვდავთ რასაცა? დაყრუებულსა, გზა შეუვალსა, უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს, სად სახე მეფის, დიდი თამარის, სჩანს ძველს კედელზე გამობატულად!.. (ორბელიანი 1959: 77-78).

აი, ასეთი პარადოქსებითაა სავსე გრიგოლ ორბელიანის პიროვნებაც და შემოქმედებაც: ერთგან იგი გენერლის მიწინააღმდეგე, ზემოდან ქედმაღლურად უცქერის მომრავლებულ, კანდერ, გამაღიზიანებლად მოუსვენარ ახალთაობას და სწორედ ამ აღრეულ თაობაში ხვდავს საქართველოს დაცემის პირველმოხელს, მეორეგან კი – ბეთანიის ეკლესიაში, თავისი სიტყვების იდეალებთან მიბრუნებული, თვალდანამოული, შეძრწუნებული ამ იავარქმილი ტაძრით და ქვეყნით, მუხლმორთხმული ლოცულობს თამარის ფრესკის წინაშე, რათა მისმა მადლმა და ძალამ გადააჩინოს ეს ტაძარიცა და ეს ქვეყანაც.

გრიგოლ ორბელიანი ისეთი მონდომებით აღნიშნავდა თავისი ლექსის შენიშვნებში: „შავი დრონი“ – თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევების პერიოდს გულისხმობსო, – რომ ყველაზე მიაიმტ მკითხველსაც კი დააჭყებდა ამ კომენტარის გულწრფელობაში. ხანდაზმულობაში შესული გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ნირი, ერთი შეხედვით, სვებენიერი იყო – სადლის შემდეგ ლიქორი და პასიანსი, დღისით – „დიდუბის დოლი“, ორბელიანისსავე ცხენების რბოლა – „არაბის“, „მერცხალასი“, „ტაბასარანის“ – მოახლის ხელით ნაყო გაბუნიასათვის ყვავილებისა და იდუმალი ბარათის გაგზავნა... საღამოს – წვეულება მთავარმმართველთან, ან რომელსამე წარჩინებულ ოჯახში; ზოგჯერ – თავადაზნაურთა კულუბში – პრეფერანსით, ვისტით... მაგრამ გადიოდა დრო და მოხუცი მეომრის გული ოდინდელი სიფიცხით აღარ ფეთქავდა – სხვა აჭენებდა მის ცხენს და სხვა ეფერებოდა მის სატრფოს... „ცხენი არა, ხმალი არა, ვაჟუკაცობა არა...“ – გრიგოლ ორბელიანის ეს სიტყვები იმდროინდელი საქართველოს დაღმასვლაზეა ნათქვამი, მაგრამ, ვგონებ, მხოლოდ ეს არ იყო...

ოფიციალურ წვეულებებზე, ბანკეტებზე, მისალოც წერილებში გრიგოლ ორბელიანი ფიანდაზად ეგება მეფისნაცვლებსა და მაღალმოხელეთ, მაგრამ პირად საუბრებში და მიმოწერაში სულ უფრო და უფრო ხშირად შეაქვს ეჭვი იმ პოლიტიკაში, რომელსაც, თავის დროზე, კავკასიაში გზას



უკაფავდა მისი მბრძანებლური შეძახილი და ბასრი მახვილი: „თუ გარუსებას სცდილობენ, ბრმანი ხომ არ არიან, რომ ჩვენ რუსებზე უფრო რუსები ვართ... მიკვირს, რას უჩუქებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილსა და ერთგულსა ერსა?“ (მუხარბია 1954: 106) – შესწიოდა იგი თავის ძველ მეგობარს, ლევან მელიქიშვილს. (დააკვირდით, ამგვარი გულგადახსნის დროსაც კი, მაინც როგორი „მოთვინიერებული“...)

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, რაღა თქმა უნდა, მაინც „ავლაბრის ყაზარმებში“ გამოტარებულ განწყობილებათა ფონზე შეიქმნა. თუ ორბელიანის ახალგაზრდობის ჟამს დაწერილი „იარალის“ პატრიოტიზმი ქართულ კოლორიტზეა აღმოცენებული, შორეული სამშობლოს მონატრებითაა ნაკარნახევი, გრიგოლ ორბელიანის ბოლოდროინდელი პატრიოტული ლირიკა – გამოთხოვებაა არა მარტო იდეალში წარმოსახულ ქვეყანასთან, არამედ იმ საქართველოსთანაც, რომელსაც გრიგოლისათვის განასახიერებდნენ მისივე ყაფლანი („ყაფლან – ჩემო ოხერის კვიპაროზო!“ – რომ წერდა), მისთვის ნატვრად დარჩენილი და უკვე გამოტირებული ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა ორბელიანი... ახალთაობას ბოლოს და ბოლოს შეურიგდა და რამდენადმე ანგარიშს უწევდა კიდევ, მაგრამ ესენი მაინც სხვანი იყვნენ – უცხონი და ბოლომდე გაუგებარნი...

ქართული მწერლობისათვის საბენდიეროდ, სწორედ ამ „ახალმა და უცხო თაობამ“, თავის დროზე ანგარიში რომ არ გაუწია გრიგოლ ორბელიანის გენერლის მუნდირსა და ეპოლეტებს, ამ მუნდირს მიღმა დაინახა მხცოვანი პოეტის მტკივანი გული და ღირსეული პატივი მიაგო მის სსოვნას. გრიგოლ ორბელიანი 1883 წლის 21 მარტს გარდაიცვალა. სიმბოლური იყო, რომ ქაშვეთის ეკლესიაში მის დაკრძალვაზე გამოსათხოვარი სიტყვები სწორედ ლიტერატურული ახალთაობის ორმა წინამძღოლმა – ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა წარმოთქვეს.

„...იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელი...“ – ამბობდა ილია თავის გამოსათხოვარ სიტყვაში (ჭავჭავაძე 1953: 247-248).

განწყობა იმ რჩეული საზოგადოებისა, რომელიც ეთხოვებოდა გრიგოლ ორბელიანს ქაშვეთის ეკლესიის თაღებქვეშ, და იმ სამოცი ათასი კაცისა, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე სულგანაბული უსმენდა ქაშვეთის ზარების გუგუნს, ზუსტად გამოხატა აკაკიმ, როდესაც თქვა, რომ „გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი იყო დიდებული და სანატრელი“.

დღეს, იმ ღირსშესანიშნავი დღიდან თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ, ძნელია ერთი სიტყვით თქმა – როგორი იყო ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა: „დიდებული და სანატრელი“, თუ დამაფიქრებელი და მრავლისმეტყველი... ერთი კია, რომ გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიაცა და შემოქმედებაც ჩვენი ისტორიის, ჩვენი მწერლობის განუყოფელ ნაწილად იქცა და მის ცხოვრებას, მის ლექსებს, მის წერილებსა და დღიურებს კიდევ დიდხანს და დიდხანს ჩავაკვირდებით, როგორც ჩვენი წარსული ცხოვრების ზარნიშანი სარკეს.

# ნიბნაბით აღმორენილი სამყარო ალტერნატიული მოდელი ქართული საბავშვო ზიხლიოთიქაბისთვის

ლალი ჯელიაძე

დაახლოებით სამი წლის წინ საქართველოში ვიზიტად მყოფმა შევედმა საბავშვო მწერალმა მარი ოსკარსონმა და ილუსტრატორმა ჰელენა ბერგენდალმა საფუძველი ჩაუყარეს „საბავშვო ბიბლიოთეკის“ პროექტს, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ქართული მხრიდან პროექტის მხარდამჭერები არიან ქალაქ თბილისის საკრებულო და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. პროექტის ფარგლებში არაერთი აქტივობა განხორციელდა, გაზაფხულზე ქართული დელეგაცია ვიზიტად იმყოფებოდა შედეგში, ხოლო მაისში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ერთობლივი ქართულ-შვედური სემინარი გამართა თემაზე: „საბავშვო ბიბლიოთეკები“. პროექტის შემდეგი ეტაპი ისევ ქართული დელეგაციის გამგზავრება იყო, ოქტომბერში, სტოკჰოლმში. რადგან ახალი ტიპის ბიბლიოთეკისთვის ქართულმა მხარემ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში არსებული ბიბლიოთეკა აირჩია, ამჯერად, ქართულ დელეგაციაში თბილისის საკრებულოს საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის ნინო ქავთაია და სპორტისა და ახალგაზრდული სამინისტროს წარმომადგენლის გიორგი ივანიშვილის გარდა, სწორედ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წარმომადგენლები იყვნენ, ის ადამიანები, ვინც უშუალოდ უნდა გახდნენ ამ პროექტის მონაწილენი – სასახლის დირექტორი ლიკა ღვინიაშვილი, მისი მრჩეველი როდამ ცომია, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ქეთევან კალანდაძე და ბიბლიოთეკური თამარ მაჭავარიანი. ეს ვიზიტი, კიდევ უფრო კონკრეტული მიზნითა და საინტერესოდ შედგენილი პროგრამით, ქართული მხარისთვის მართლაც ძალიან ნაყოფიერი და შემეც-

ნებითი აღმოჩნდა, რადგან ბიბლიოთეკარებმა საკუთარი თვლით ნახეს შვედური საბავშვო ბიბლიოთეკის არაერთი თანამედროვე მოდელი, მოინახულეს როგორც სტოკჰოლმის ცენტრში განთავსებული, ასევე დედაქალაქის გარეუბნებში და პატარა ქალაქ უფსალაში მდებარე ბიბლიოთეკებიც. მოისმინეს საინტერესო სემინარი თემაზე – „საბავშვო კულტურის დიზაინი.“

სტოკჰოლმის ბიბლიოთეკები გამოჩენილია თავისი მდიდრით, ყველაფერი ბავშვებზეა ორიენტირებული, მხოლოდ და მხოლოდ მათი სურვილებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. იქ ბიბლიოთეკა განცენებული ცნება არ არის, არც ჩვენს ცნობიერებაში შემორჩენილი ნიგენტსაცავია, ხშირ შემთხვევაში, ნიგენტის სიძველის სუნთან ასოცირებული, სტანდარტული ნიგენტის თაროებით. აქ ყველაფერი ბავშვების შესაძლებლობებსა და სურვილებზეა მორგებული. ბიბლიოთეკა შევედი ბავშვებისთვის ის სივრცეა, საითკენაც ყველას მიუხარია, იცინა, იქ მისულები თავიანთ სურვილებსა და ინტერესებს საუკეთესო გარემოში განახორციელებენ თამაშით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა, მათ თავისუფლებას თავისთავად ახალგაზრდობის სურვილებსა და ინტერესებს საუკეთესო გარემოში განახორციელებენ თამაშით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა, მათ თავისუფლებას თავისთავად ახალგაზრდობის სურვილებსა და ინტერესებს საუკეთესო გარემოში განახორციელებენ თამაშით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. თუმცა, მათ თავისუფლებას თავისთავად ახალგაზრდობის სურვილებსა და ინტერესებს საუკეთესო გარემოში განახორციელებენ თამაშით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

**მარი ოსკარსონი:** „იმედა, ეს კვირა ბევრისთვის იქნება ქართული დელეგაციისთვის. ასევე იმედა მაქვს, რომ ყველა ის ადამიანი, ვისაც შეხვდით, ყველა ის გარემო, რაც ნახეთ და ყველაფერი, რაც მოისმინეთ, იქნება შთამბავნიელი საქარ-

თველოში ახალი ტიპის საბავშვო ბიბლიოთეკის შესაქმნელად. ბუნებრივია, ამ ვიზიტის შემდეგ, უფრო კონკრეტულად დაინყებთ იმაზე საუბარს, თუ როგორი შეიძლება იყოს საბავშვო კულტურა. ჩემი აზრით, არ არსებობს ერთი სიმართლე – რა როგორი უნდა იყოს და იმედა, აქ ყოფნა მოცემით საშუალებას, ეს ამ კონკრეტულ სფეროში დაინახოთ. საქართველოში და შედეგში განსხვავებულად ვმუშაობთ საბავშვო ლიტერატურაზეც და საბავშვო ბიბლიოთეკებზეც, თუმცა, ჩვენ, შვედები, არ ვართ იმაში დარწმუნებული და არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ძალიან შორს წავედით. ყოველთვის ასეა, როცა რაიმე მიღწევები გაქვს, ვერ ხედავ იმას, თუ რას მიაღწიე, უფრო იმას ხედავ, სად გინდა მოხედდე, ანუ სად გინდა, რომ მომავალში აღმოჩნდე. ეს პროცესი არასოდეს მთავრდება, მათ შორის არც საბავშვო ბიბლიოთეკისა თუ საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით. ის მიღწევები, რაც ჩვენ გვაქვს, არ გვძლევს იმის საშუალებას, რომ ფეხი ფეხზე გადავიდეთ და შევიდა ვიყოთ. სულ წინ უნდა ვისწრაფოდეთ. როგორ განვითარდებამ ეს კონკრეტული პროექტი, ამაზე პასუხის გაცემა მეც გამოიჭირდება, ჰელენასაც და შევედის ინსტიტუტსაც. ამ შემთხვევაში, ბურთი ჩვენ არ გვიჭირია, ეს უფრო ქართული მხარისკენ მიმართული შეკითხვაა: სად იქნება ეს ბიბლიოთეკა, როდის იქნება, რა სამიზნე ჯგუფი ეყოლება – ქართული მხარის გადასახვედითა. ჩვენ მზად ვიქნებით შემდგომი თანამშრომლობისთვის, შინაარსობრივი მხარის დახმარებას უზრუნველყოფთ, იქნება ეს ვორკოპები, სემინარები თუ ექსპერტების დახმარება. ეს ბიბლიოთეკა სხვა ქართული საბავშვო ბიბლიოთეკებისთვის თანამედროვე მოდელია ერთ-ერთი მაგალითი გახდება. საბოლოო ჯამში, ქართულმა მხარემ არჩევანი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომლებს შეაჩერა, იმედა, ახალი საბავშვო ბიბლიოთეკა მართლაც ალტერნატიული მოდელი გახდება დანარჩენი საბავშვო ბიბლიოთეკებისათვის.“

ვიზიტის ბოლო შეხვედრა შედეგითი ინსტიტუტში შედგა ოსკარსონმა, შევედითი ინსტიტუტის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელთან. მან ქართულ ჯგუფს მოკლედ გააცნო შედეგითი ინსტიტუტის საქმიანობა:

„შვედეთის ინსტიტუტი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც შედეგითის საგარეო სამინისტროს ექვემდებარება. ეს საკმაოდ ძველი ორგანიზაციაა, 1945 წლიდან არსებობს და ამ წინის განმავლობაში, ჩვენი მიზანია, გავავრცელოთ ინფორმაცია შედეგითის სახელმწიფოს შესახებ, დავამყაროთ ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან და გავუღვივოთ ხალხს ინტერესი შედეგითსადამი. აქ 120-მდე ადამიანი მუშაობს. გარდა ამისა, გვაქვს ერთი ოფისი საზღვარგარეთ, კერძოდ, პარიზში, 1 იანვრიდან კი ოფისი გოტლანდში გვექნება. საკმაოდ აქტიურად ვმუშაობთ შედეგითის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე, მხარს ვუჭერთ საზღვარგარეთ მყოფ შვედურ უწყებებს, რომ მათაც გავრცელონ ინფორმაცია შედეგითზე; გამოვცემთ კონკრეტული სახის მასალებს. ჩვენი საქმიანობისა და ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ურთიერთობების დამყარებას სხვა ქვეყნებთან, ასევე, დიდ ნაწილს შეადგენს სტიპენდიების გაცემა უცხოელი სტუდენტებისთვის, იმისთვის, რომ მათ შეე-



დეტში ისწავლონ. მხარს ვუჭერთ და ვეხმარებით შვედური ენის სწავლებას სხვადასხვა ქვეყანაში. გვაქვს თანამშრომლობის პროგრამები შვედურ და უცხოურ ორგანიზაციებს შორის (შვედურ ორგანიზაციას ან ჯგუფს შეუძლია, პარტნიორი იპოვოს სხვა ქვეყანაში და ერთად შექმნან განაცხადი-პროექტი). საქართველოც ამ ქვეყნების სიაშია. ჩვენ მხარს ვუჭერთ საელჩოებს სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ჩატარებაში, რაც შვედური კულტურის პოპულარიზებას უწყობს ხელს.

კრეატიულობას რაც შეეხება, აქტიურად ვმუშაობთ კულტურულ პროექტებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს. პირველ რიგში, დემოკრატიული ღირებულებების მიზანმიმართულად გავრცელებას იმ ქვეყნებში, რომლებთანაც თანამშრომლობთ. ჩვენ, შვედებს, ძალიან გვიყვარს ინოვაციები. ცვდილობთ, ჩვენი ინოვაციები სხვა ქვეყნებს გავუზიაროთ. ჩვენი სტრატეგიის ნაწილია ტერიტორიულად შორს მყოფ ქვეყნებთან მუშაობა. სასიამოვნოა, რომ დღეს ერთობლივ პროექტზე ვსაუბრობთ, დიდი მადლობა მობრძანებისთვის, მოხარული ვარ, რომ ახალი ჯგუფი გვყავს საქართველოდან. ბუნებრივია, ვერ ძნელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება პროექტი, მაგრამ შემიძლია დავარწმუნოთ, რომ შვედური მხარე თანამშრომლობისთვის მზად არის.“

\*\*\*

ვეცდები, ქართული დელეგაციის შვედური დღეები პატარ-პატარა რეპორტაჟებით გადმოგცეთ. ალბათ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება საბავშვო ბიბლიოთეკების შესახებ მონათხრობი, რადგან ისინი ქართული საბავშვო ბიბლიოთეკო სივრცისაგან რადიკალურად განსხვავებულია, აქ მთავარი მიზანი, რასაკვირველია, ბავშვისა და ნიგენტის ურთიერთობაა, უბრალოდ, ამ ურთიერთობის ფორმებია განსხვავებული, ინოვაციური და კრეატიული. ბავშვებმა თავად უნდა აღმოაჩინონ გარესამყარო ნიგენტის დახმარებით ან ნიგენტთან ერთად, რაც მთავარია, ეს ურთიერთობა ჩვილობიდან იწყება.

## შუპინიზანზე მხვანა აინთო – გიხლიოთიქაში ადგილი განთავსისუფლდა

გაგვიკვირდება, რა კავშირია შუპინიზანსა და ბიბლიოთეკას შორის. გეტყვით, რომ პირდაპირი კავშირია, რადგანაც სტოკჰოლმის ცენტრში განთავსებულ კულტურის ცენტრში არსებული საბავშვო ბიბლიოთეკის ფასადაზე მიმაგრებული

შუპინიზანი ქუჩაშიც ატყობინებს მშობლებს, რომ ბიბლიოთეკაში ადგილი განთავსისუფლდა და შეუძლიათ თავიანთი პატარები აიყვანონ. ნილის ანთების შემთხვევაში კი, რიგში მდგომნი მშვიდად ელიან მწვანე შუპს. ეს იმისთვის გახდა საჭირო, რომ ბიბლიოთეკას, რომელიც წლების წინ გაიხსნა პატარებისთვის, დღეში ათასობით მნახველი ჰყავდა და ყველას ერთდროულად ფიზიკურად ვერ იტევდა. ბიბლიოთეკარმა ანა ეკულნდმა, სასცენო დიზაინერ კრისტოფერ მოსტორთან ერთად, ამავე ადგილას წლების წინ არსებული კლასიკური შვედური ბიბლიოთეკა პატარებისთვის პატარა ოაზისად აქცია. აქ, ტრადიციულად, ნიგნები ისე იყო თაროზე განლაგებული, რომ ბავშვები ვერც კი სწვდებოდნენ. დაიწყო საბიბლიოთეკო სივრცის პატარებზე მორგება, მათი ოცნებებისა და სურვილების რეალიზაციაში განხორციელება. ბიბლიოთეკის მესვეურებმა ერთ-ერთი პარტნიორისგან დაფინანსება მიიღეს და ახალი, თანამედროვე ბიბლიოთეკის მოწყობა დაიწყო. განისწავლეს საკუთარი ბავშვობა – რა სურდათ, რა ანიჭებდით ყველაზე მეტ სიხარულს, როგორ გასართობად გინდოდათ ოცნებდნენ და ამოსავალ პრინციპად სწორედ ეს დაისახეს. კრისტოფერმა გვითხრა, რომ ხშირად ბავშვებს არ მოსწონთ სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან ერთად ყოფნა, ამიტომაც ბიბლიოთეკის სივრცე რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფად დაიყო: 0-3, 4-7 და 7-10 წლამდე ბავშვებისთვის.

იდეების ნახატებში რეალიზაციით კრისტოფერმა შექმნა სამყარო, რომელშიც აქტიურად ჩაერთნენ ფსიქოლოგები, ნევროლოგები, ლიტერატურის მკვლევრები და სხვ. „ვეცადეთ, ისეთი სივრცე შეგვექმნა, სადაც, იატაკიდან ქვემოთ, ბავშვები თავიანთ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს გამოიხატებდნენ. ასეთი გარემოს დახმარებით, მათ თავად უნდა განავითარონ საკუთარი თავი“. ექსპერტებთან მუშაობისას მთავარი მიზანი გამოიკვეთა – ბავშვების მოძრაობა. პატარებს ამ სივრცეში აუცილებლად თავისუფლად უნდა ემოძრაოთ, არავითარი შეზღუდვა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ეს ადგილი არამც და არამც სათამაშო ცენტრად არ გადაქცეულიყო. ამ ბალანსის მიღწევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა ეს მათ შეეძლო. შეგნებულად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბიბლიოთეკაში არ ჰქონოდათ კომპიუტერი, ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა – ბავშვებისთვის სივრცეს უნდა ექვემდებარებინათ კომპიუტერის ალტერნატიული შესაძლებლობა, სხვა სახის აქტივობები, ანუ ბავშვებს განვითარების სხვა მეთოდები შესთავაზეს, გონების განვითარებელი თამაშები.





შედეგი დღიურები

იდენტობის ძიებაში მყოფ ამ ასაკის ბავშვებს საინტერესო აქტივობებით ეხმარება. ეს ზღვარზე შესასვლელში სწორედ იმისთვისაა გავლენილი, რომ ბავშვები მუდმივად იმის მოლოდინში არ იყვნენ, რომ მშობლები თავს დაადგებიან. აქ სრულიად თავისუფლები არიან. ზრდასრული მშობლები მომსახურე პერსონალია.

არქიტექტორმა ეს მყუდრო და საოცარი გარემო თინიჯერებს ისე მიმზიდველად მოუწყო, რომ ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ გარემოდ უქცია - რბილი ავეჯის კუთხე, მოხერხებულად ასაძრომი სხვადასხვა კონსტრუქცია, რომელიც წიგნის საკითხავად შეიძლება გამოიყენონ; შეუმჩნეველი და მყუდრო ადგილები, სადაც განცალკევება შეუძლიათ; ჯადოსნური ოთახი, რომელსაც სხვადასხვა დატვირთვა აქვს - გონსალო, თინიჯერებთან ერთად, ანიმაციებსა და ვიდეორგოლებს ამზადებს ან საგანგებოდ კოსტიუმირებულ წარმოდგენებს დგამს; იქვე სამზარეულოა, სადაც კვირაში ერთხელ თინიჯერები თავიანთ კულინარიულ შესაძლებლობებსაც მოსინჯავენ ხოლმე და შედეგური ტრადიციული კერძების დამზადებასაც სწავლობენ; ბიბლიოთეკაში ბევრი წიგნი და ჟურნალ-გაზეთია, ციფრული ტექნოლოგიებიც ხელმისაწვდომია, თუმცა შეზღუდული დროითა და რაოდენობით. რაც მთავარია, ამაზე მოთხოვნა ნაკლებია, რადგანაც თინიჯერებს სხვა აქტივობები მეტად აინტერესებთ. აქაც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიან წიგნებთან.

ეს მართლაც თინიჯერების ენაზე მოსაუბრე სივრცეა, სადაც მათი ყველაზე კარგად ესმით, ყველაზე კარგად უგებენ, უსმენენ და ენდობიან. რაც მთავარია, როცა ბიბლიოთეკის მესვეურებმა ნამოჭრეს საკითხი, თინიჯერებისათვის ცალკე გაეკეთებინათ ასეთი ადგილი, მთავრობისგან მიიღეს როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური მხარდაჭერა. ამის შემდეგ კი საქმე ძალიან სწრაფად წავიდა წინ. ასე გაეწყო ზღვარი კულტურის ერთ ცენტრში თინიჯერებსა და ზრდასრულებს შორის, ზღვარი, რომელიც მათ თვითგამორკვევაში ძალიან ეხმარება. აქ მთავარი მაინც თხრობაა, ბევრი გასართობის მიუხედავად, ბოლოს მოზარდები მაინც აღმოაჩენენ, რომ წიგნების გარემოცვაში არიან, ბოლოს მაინც წიგნი იმარჯვებს!

რად ერგება ამ საჭიროებებს. საბავშვო ბიბლიოთეკა პლუს რეჯიო ემილიას პედაგოგიკა მართლაც საუკეთესო კომბინაცია აღმოჩნდა. ამ პედაგოგიკის ამოსავალი წერტილი სწორედ ბავშვის მიერ, დამოუკიდებლად და, რაც შეიძლება, აქტიურად გარე სამყაროს აღმოჩენაა. ის უარს ამბობს მზა პასუხებზე, თუნდაც უხერხულ შეკითხვებზე, რაც ძალიან კარგად ემუშაობს - ბავშვებს საკუთარი თავის რწმენას უფითარებს, ისინი უფროსების მხარდაჭერით, და არა მათი უშუალო დახმარებით, პოულობენ პასუხებს ყოველგვარ შეკითხვებზე. ამ პროცესში თხრობას განსაკუთრებული, ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ეს პროექტი 2010 წლიდან დაიწყო. როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა გვითხრეს, მართალია, სიღრმისეული კვლევა არ ჩატარებულა, თუმცა აქ მოსული ბავშვებისა და მზახველების რაოდენობა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ რეჯიო ემილიას პედაგოგიკამ საკმაოდ კარგი გამოხმაურება ჰპოვა როგორც მშობლებში, ისე საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი კლასის პედაგოგებში, რაც მთავარია, პატარა მკითხველებში. რეჯიო ემილიას პედაგოგიკა ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალს საუკეთესო საშუალებას აძლევს, განვითარდნენ და ინოვაციურად გამოიყენონ ბიბლიოთეკაში არსებული მასალა. პატარათრისთვის სხვადასხვა აქტივობები ტარდება - მინი-კინო, ზღაპრის კუთხე, ზღაპრის გამირების კოსტიუმები, მოლბერტები, გასართობი კუთხე, სათამაშოები - ეს ყველაფერი წიგნთან მისვლის საუკეთესო საშუალებად აღიქმება. თვეში ერთხელ, ბავშვებს ზღაპარს უყვებიან, შემდეგ პატარები (2-დან 7 წლამდე) თავიანთ შთაბეჭდილებებს მოლბერტთან ხატავენ. მეორე ზღაპრის მოყოლამდე, მათი ნამუშევრები ბიბლიოთეკის ერთ-ერთ კედელზე გამოფენილი. ბავშვებმა უნდა შეძლონ ზღაპრის მოსმენა, აღქმა და მოყოლა, იმისთვის რომ მიაღწიონ დიალოგს - დიალოგზე ორიენტირებული აზროვნება რეჯიო ემილიას პედაგოგიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ამ ბიბლიოთეკისთვისაც ასე მისაღები გახდა. აქ მხოლოდ ისეთ თემებს ირჩევენ სასაუბროდ, რომელიც ბავშვებისთვის იმ მომენტშია საინტერესო. თუ ბავშვმა დასვა კითხვა - რა არის წყალი? - ბუნებრივია, პედაგოგები აძლევენ იმის საშუალებას, რომ უფროსობთან ერთად, და არა მათი უშუალო ჩარევით, პატარებმა იკვლიონ - რა არის წყალი და თავად გასცენ ამ შეკითხვას პასუხი, გააკეთონ აღმოჩენა - დამოუკიდებლად შეიცნონ გარესამყარო. რასაკვირველია, ეს წიგნებისა და უფროსების დახმარებით ხდება.

ზავს, დეტალურად მოუთხრობს საინტერესო ისტორიას, თუ როგორ აშენდა მსოფლიოში ცნობილი შენობა, რომლის მშენებლობამ 12 წელიწადს გასტანა - 1912-1923 წ.წ. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, შენობის გადასახურად თანხის შეგროვება, თურმე, მოსახლეობაში დაუწყიათ. მოსახლეობა იმდენად დაინტერესებული იყო შენობის დასრულებით, რომ 10 წლის შედეგად მონივეს იტალიელი ოსტატები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პანო დედოფლის მოზაიკაა, რომელიც ყველაზე უშნო გამოსულა, ხელოსანს ძალიან დასწვევითა გული, რადგან მოზაიკაზე თავისი ცოლის პორტრეტი გამოხატა. ამგვარად, შესავალი ნაწილი დასრულებულია და ქალბატონი გუნია გადადის მთავარ თემაზე - წლევანდელი ნობელის პრემიის მოიხილეთ მისი შესახებ ინფორმაციას, კითხულობს ნაწილებებს მისი რომანიდან. შემდეგ პროექტში მონაწილეობის მსურველი ბავშვები ჯგუფებად იყოფიან, მათ წიგნის ილუსტრაციები უნდა გააკეთონ და დაწერონ წერილები. პროცესი სკოლის ბიბლიოთეკაში გადაინაცვლებს.

ამ სკოლაში გამორჩეული კონტინგენტია, აქ სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტი ბავშვები, რომლებიც მსოფლიოს ცხელი წერტილებიდან თავშესაფრის საპოვნელად არიან ჩამოსული. მათი ისტორიებიც სეველიანი და განსაკუთრებულია - მძიმე წარსულით დატვირთული. განსაკუთრებულია მიდგომა, მთავარი შედეგთში ინტეგრირებაა. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ დაეხმარონ ემიგრანტ ბავშვებს, გახდნენ შედეგითის საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამ პროცესში ბიბლიოთეკა გამორჩეულ როლს თამაშობს. ბიბლიოთეკარი იასმინა სამუელსონი თვითონ ემიგრანტია და კარგად ესმის, როგორ მიუდგეს ემიგრანტ ბავშვებს: „ამ მოზარდებს მძიმე წარსული აქვთ. ხშირად ვურჩევ, რა წაიკითხოთ, რა წაიკითხოთ, რა წაიკითხოთ, თუმცა, განსხვავებული მენტალობის გამო, ხშირად წინააღმდეგობას ვაწყებები მათი მოშობების მხრიდან. კატეგორიულად მოითხოვენ, მათ შეიძლებს არაფერი წაეკითხოთ, მაგალითად, სექსის ან სიყვარულის შესახებ. კარგად მესმის, ემიგრანტები როგორ განიცდიან შედეგთში ინტეგრაციას, ამიტომაც ცვდილობ დაეხმარო მათ. ვურჩევ, თუ სურთ, რომ დაეწიონ ამ საზოგადოებას და მისი სრულფასოვანი წევრები გახდნენ, ყველაფერი ის უნდა იცოდნენ, რაც შედეგად ბავშვებმა იციან. ვუხსნი, რომ კითხვა მათი მომავლია, ამაში ჩემი ორი შვილის გამოცდილებაც მეხმარება.“

ბლოკებად დაყოფილი ბიბლიოთეკა, ასაკობრივად, ბავშვების სურვილებისა და შესაძლებლობების შესატყვისად გამოიყურება, ყველა ასაკის ჯგუფს კი აერთიანებს ერთი ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავი ზღაპრების ოთახი, სადაც ზღაპრებს სხვადასხვა ხერხით აწოდებენ - კითხვით, სიმღერით, მინი-სპექტაკლებით და ა.შ. თამაშით გართულ ბავშვებს ბიბლიოთეკარები ფრთხილად სთავაზობენ რომელიმე წიგნიდან ფრაზას ან ნახატს, მათი ყურადღება ნელ-ნელა, თამაშით გადააქვთ წიგნზე. ეს ბიბლიოთეკა რომ ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, ისიც ადასტურებს, რომ დღეში შეიძლება 1000-მდე მწახველი ესტუმროს. ფასადზე ზემოთ ხსენებული შუქნიშნის განთავსება სწორედ ამიტომაც გახდა საჭირო. ეროვნებით იტალიელმა დიზაინერმა ბიბლიოთეკაში პატარა „პიაცას“ მოწყობა განიზრახა. მისი თქმით, ეს გაშლილი სივრცე პიაცას მოედანია, რომელიც გარემორტყმულია წიგნის თაროებით, ძალიან საინტერესო ისტორიებით, რომლის გაგებასაც პატარებს მიმზიდველი ფორმითა და გარემოთი სთავაზობენ. აქ ყველა კატეგორიის ბავშვია გათვალისწინებული, უნარ-შეზღუდვები იონად გადაადგილდებიან პანდუსებით.

ლობენ - ამ ორი სამყაროს კომბინაცია კი დიდ გავლენას ახდენს ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. ესეც რეჯიო ემილიას პედაგოგიკის გამოვლინებაა, ბიბლიოთეკის მთავარი პრინციპიც სწორედ ამ მეთოდითაა მიღებული - თავად აღმოაჩინონ საკუთარი თავი. პარასკეობით, სახელსწრში, ცეკვის გაკვეთილები ტარდება. თიხა, პლასტილინი, მოლბერტები, კოსტიუმები, თექის დასამზადებელი იარაღებით სავსე სახელსწრში - ეს ყველაფერი ბავშვებს მაგნიტივით იზიდავს. თუმცა, მათ დროდადრო ახსენებენ, რომ აქ წიგნებიცაა, რომლებიც წაკითხვას ელიან.

ზღვარი ფეხსაცმელებისა და უფროსებისათვის!

სართულით დაბლა, ერთი ფლიგელი მოზარდებს ეთმობა. თუმცა, იქ შესვლას კრძალავს წარწერა - „ზღვარი ფეხსაცმელებისა და უფროსებისათვის!“ ეს ზღვარი თინიჯერების დამოუკიდებლობას იცავს. გაკვეთილების შემდეგ თავისუფალი დროის საინტერესოდ გასატარებლად აქ მოსულ თინიჯერებს თავი ქუდში აქვთ, რადგან იციან, ამ ზღვარს მშობლები ვერ გადმოლახავენ და ისინი, ბიბლიოთეკარებთან - ანა სტენბერგთან და მათთვის საყვარელ გონსალოსთან ერთად, გაატარებენ დროს. მშვიდი და უსაფრთხო სივრცე, სადაც მოზარდები თავს მართლაც მშვიდად გრძნობენ,

რეჯიო ემილიას პედაგოგიკა და „ბიბლიოთეკა თვალის ბასწვრივ“

- ასე ეძახიან სოლენტუნას ბიბლიოთეკებთან ერთ-ერთს, პატარა ბავშვებისათვის განკუთვნილ ნორვეგიის ბიბლიოთეკას, რომელიც სტოკჰოლმის გარეუბანში მდებარეობს. ამ ბიბლიოთეკის იდეა შთაგონებული იყო რეჯიო ემილიას ფიდეგომით - საგანმანათლებლო ფილოსოფიით, რომლის ფოკუსიც პირველადი განათლებაა. ეს ერთადერთი ბიბლიოთეკაა, რომელიც მთლიანად ამ პედაგოგიკით მუშაობს. ბიბლიოთეკის მუშაობის მთავარი პრინციპია - მოისპოს ყველა ბარიერი, რაც შეიძლება ბავშვებსა და წიგნს შორის აღმოჩნდეს, პატარებისთვის წიგნი მაქსიმალურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ბიბლიოთეკაში მისული ამაში იოლად დარწმუნდები - წიგნის თაროები, მოლბერტები, პატარა სარკეებიც კი, ბავშვების ასაკის გათვალისწინებით, მათ სიმალღებზე განთავსებულია. ადრე აქ საჯარო-სახალხო ტრადიციული ბიბლიოთეკა იყო, რომლის თანამშრომლებმა მიაკვლიეს, რომ ამ დასახლებაში მოქმედ საბავშვო ბაღებს ბიბლიოთეკა ძალიან სჭირდებოდათ. სწორედ მათთან თანამშრომლობის შედეგად გადაწყდა რეჯიო ემილიას პედაგოგიკის გამოყენება, რომელიც მშვენივ-

რინკებიუ - მულტიკულტურული ბარეუბანი

რინკებიუს სკოლის ბიბლიოთეკა ჩვენი ჯგუფის ყურადღების ცენტრში ვიზიტის მეორე დღეს მოექცა. რინკებიუ სტოკჰოლმის მულტიკულტურული გარეუბანია. ეს სკოლა ცნობილია ერთ-ერთი პროექტით - „ნობელიანტი მწერალი“. ჩვენ ამ პროექტის მონაწილეებს ვხვდებით. „ნობელიანტი მწერალი“ უკვე 22 წელია მიმდინარეობს და მას საბავშვო მწერალი გუნდის ლენდგრენი ხელმძღვანელობს. 14 წლის მოზარდები, მწერალთან ერთად, პროექტის უკანასკნელ დეტალებს აზუსტებენ. გაკვეთილი ნობელის პრემიის დაარსების ინფორმაციით იწყება - ქალბატონი გუნია-ლა მოზარდებს უყვება იმ შენობის შესახებ, სადაც ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიალი იმართება, დღეაზე შენობის მაკეტსაც უხა-

სამხატვრო სახელოსნო გამოხატვის კიდევ ერთი საუკეთესო საშუალებაა. ხატავენ და კითხუ-

## შედეგი დღეობა

კარგი პედაგოგები და ბიბლიოთეკარი ზრუნავენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ინდივიდუალური მიდგომაა. თითოეული მენტორი პედაგოგი სხვადასხვა საგანმანათლებლო პედაგოგიური მეთოდით მუშაობს. ურთიერთობებზე დიდ აქცენტს ვაკეთებთ, გვინდა ხაზი გავუსვათ ნდობის ფაქტორს და, ასევე, მათ შესაძლებლობებს.“

გუნილა ლუნდგერენი: „რინკე-ბიუ, ზოგადად, ყოველთვის ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა, აქ უმუშევრობისა და კრიმინალის მაღალი მაჩვენებელია. ჩემი პირველი წიგნიც სწორედ ამ თემაზე დავწერე – როგორ აშენდა ეს რაიონი. აქ ძალიან ბევრი ბოზა ბავშვი (რუმინეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები) იყო და ამ თემას არა ერთი წიგნი მიუძღვნია. აქედან გამომდინარე, დავინყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ წარმოვაადგინოთ ეს რაიონი უკეთესად, როგორც შედეგის ყველაზე საერთაშორისო ნაწილი. მსგავსი მიდგომა ძალიან დადებითად მოქმედებს მოზარდებზე, ხშირად ვუმეორებთ, რომ ისინი სწორედ ამ საერთაშორისო ნაწილში ცხოვრობენ და აღარ ფიქრობენ იმაზე, რომ რინკებიუ სიღარიბისა და კრიმინალის ბუდეა. ბავშვებთან ურთიერთობისას ორ ასპექტს განიჭებთ უდიდეს მნიშვნელობას – ხაზგასმით ვუბნებთ, რომ ჩვენ გვაქვს მათი შესაძლებლობების რწმენა და მათ მიმართ ნდობა.“

გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეები შედეგის ღირსეული მოქალაქეები გახდნენ, დასძლიონ ის მძიმე სტრესები, რაც ბედმა არგუნათ. ამ პროექტზე მუშაობაც სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მინდოდა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ნაწილში მცხოვრები ბავშვებისთვის ამ საერთაშორისო პრემიის შესახებ მემამბნა. ასე დაედო საფუძველი „ნობელიანტ მწერალს“ და პროექტი უკვე 22 წელია გრძელდება.

ყოველწლიურად ბავშვებს ვაცნობთ ნობელიანტ მწერლებს და ვკინძავთ წიგნს, რომელშიც შესულია სწორედ ბავშვების ნამუშევრები, ნერილები და ილუსტრაციები. სემესტრის განმავლობაში შექმნილ წიგნს, აუცილებლად ვუგზავნი მწერალს და ჩვენთან, რინკებიუში ვეპატიყვებით. მწერლებს თავიანთი ვიზიტებით ჩვენს მოსწავლეებს ხშირად ახარებენ, 22 წლის განმავლობაში უკვე 19 ნობელიანტი მწერალი გვესტუმრა. რაც მთავარია, ხშირად პროექტზე მუშაობის პროცესში აღმოვაჩინებთ ხოლმე ძალიან ნიჭიერ ბავშვებს და მათ ნამუშევრებს ბიბლიოთეკაში გამოვფენთ. იყო ასეთი შემთხვევა, ერთ-ერთმა მოსწავლემ, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, პროექტში მონაწილეობა მოინდომა, მას ხატვის განსაკუთრებული ნიჭი აღმოაჩნდა. გარდა ამისა, ბავშვები თანამშრომლობასა და თანადგომას სწავლობენ, ერთმანეთს

დაუზარლად ეხმარებიან. ისინი ჩვენი მხრიდანაც დიდ მხარდაჭერასა და თანადგომას პოულობენ.“

რინკებიუს სასკოლო ბიბლიოთეკის როლი განუსაზღვრელია ემიგრანტი ბავშვების ინტეგრირებისათვის. ჩვენ თვალწინ სხვადასხვა ეროვნების ბავშვებმა ნობელიანტ მწერალზე დიდი ხალისით იმუშავეს, მალე წიგნად შეკრული მათი ნამუშევრები წლევიანდელ ნობელიანტს გადავგზავნება.

რინკებიუს მოსახლეობას სკოლის გვერდით გახსნილი ბიბლიოთეკაც ემსახურება. ბიბლიოთეკის თითოეული დეტალი სწორედ ემიგრანტებზეა გათვლილი, აქ სხვადასხვა კულტურისა და მენტალობის ადამიანებისთვის წიგნებიც სხვადასხვა ენისა და ჟანრის მიხედვითაა დანაწილები, მათი მოთხოვნებსა სრულადაა დაკმაყოფილებული. ეს ბიბლიოთეკა ყველაზე საერთაშორისო რაიონის ემიგრანტების – ყველაზე მძიმე წარსულის მქონე ადამიანების საზოგადოებაში იოლად ინტეგრირებას უწყობს ხელს. თვალწინადაც ერთი კედელი ბიბლიოთეკის შესასვლელში, რომელიც სხვადასხვა ენაზე აჭრელებული სტიკერებით – ბრძნული გამოხატულებებით – იქცევს ყურადღებას, მათი ერთობლიობა კი, სწორედ ამ რაიონის მულტიკულტურულობას უსვამს ხაზს.

### „ბალაგანი“

ამ სახელწოდებამ არ დაგაბნოთ. ისე, მაინც რა კავშირშია ბალაგანი ბიბლიოთეკასთან? ბალაგანი ჰქვია, თორემ მოზარდებისათვის სრული იდილია სუფევს. „ბალაგანი“, საუკეთესო დიზაინით, ინტერიერთა და ათასგვარი გასართობით, სულ ახლახან აშენებული ახალგაზრდული ბიბლიოთეკაა.

სტოკჰოლმის ბიბლიოთეკების დათვალეობისას რწმუნდები, რომ ბიბლიოთეკაში ყველა დეტალი ბავშვის გასახალისებლად, ინტერიერით დაწყებული წიგნის შინაარსით დამთავრებული. ამის საუკეთესო მაგალითი იყო მალმოს ახალგაზრდული ბიბლიოთეკის – „ბალაგანის“ შექმნის პროცესზე მომხილელი ლექცია, რომელიც ინტერიერის დიზაინერმა ევა იუჰანამ განათლება მიიღო გოტებორგის დიზაინის უნივერსიტეტში, საბავშვო კულტურის დიზაინის პროგრამის ფარგლებში. მან „ბალაგანის“ დიზაინი სწორედ მოზარდებისა და ახალგაზრდების აზრის გათვალისწინებით შექმნა. წინასწარი კვლევების შედეგად, მივიდა საბოლოო ფერის, ფორმისა და საერთოდ იმ გარემოს შექმნამდე, რაც დღეს „ბალაგანში“. „პირველ რიგში, მინდოდა გამეგრკვია, რა სურდათ ბავშვებს, ამისთვის წინასწარ ბევრი ვიმუშავე, საბოლოოდ მართლა შევძელი იმის განხორციელება, რაც მათ სურდათ.“ – განაცხადა ევა იუჰანამ. ასე შეიქმნა ბავშვების სურვილების ნაკრები „ბალაგანი“.

### უფსალა – სევიას ბიბლიოთეკა

შემდეგი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ქალაქ უფსალას მულტიკულტურულ ნაწილში მდებარე სევიას ბიბლიოთეკაა, რომელმაც ახალგაზრდებთან საკმაოდ აშბიციური სამუშაო გასწავლა. ბიბლიოთეკაში ჩვენი მეგზური ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი ნინო დავოლია.

უფსალა – საუნივერსიტეტო ქალაქი, მოსახლეობა 200 ათასი, ფუნქციონირებს 14 ბიბლიოთეკა, სევიას ბიბლიოთეკა მათგან ერთ-ერთია. აქ განსხვავებული კულტურის სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს. ძირითადი მოთხოვნა არაბულ, სპარსულ, ქურთულ, ფინურ, პოლონურ წიგნებზეა.

ბიბლიოთეკაში საბავშვო განყოფილება ყველაზე მყუდრო და მშობლებისთვისაც მოსახერხებელი. ნებისმიერ წიგნზე, რომელსაც მკითხველი მოითხოვს, ბიბლიოთეკა ზრუნავს – თუ აქ არ აღმოჩნდა, სხვა ბიბლიოთეკებიდან იწერენ და არც ერთ უცხოენოვან მკითხველს უკმაყოფილოს არ უშვებენ. საერთო საბიბლიოთეკო ქსელი საკმაოდ გამართულია, ერთმანეთს საჭირო წიგნებს ოპერატიულად უგზავნიან, რათა უფსალაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მკითხველის მოთხოვნები დააკმაყოფილონ. საბავშვო განყოფილება საკმაოდ დატვირთულია სასარგებლო აქტივობებით, ზღაპრებს მუსიკის თანხლებით უყვებიან. ბიბლიოთეკა საბავშვო ბაღებთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ერთობლივი ღონისძიებებიც იგეგმება. მეორე განყოფილება უფრო მოზარდობის ემსახურება, წიგნები სიმბოლოების მიხედვითაა განლაგებული, მარტივი და იოლად სააზროვნო რომ იყოს. მაგალითად, ვაშლის სიმბოლო აერთიანებს მარტივად წასაკითხ წიგნებს, მათთვის, ვისაც კითხვა უჭირს, ანუ ვინც ენის მოდიფიკაციას განიცდის. იგივე პრინციპია გამოყენებული სხვა უნარებისთვისაც, მაგალითად, მომღიმარი სახე სასაცილო-სახალისო წიგნების თაროებს აერთიანებს. ეს განყოფილება 9-10 წლის ბავშვებს ეკუთვნის. თუ მათთვის რომელიმე წიგნი განსაკუთრებით აქტუალური გახდა, გამორჩეულად რომელიმე სიმბოლოს მიანიჭებენ.

ბიბლიოთეკაში წლების განმავლობაში ხორციელდება ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი – ნერის კურსები, ვორკშოპი, რომელსაც წელს საბავშვო მწერალი, ჟურნალისტი კრისტინა ვალდენი უძღვებოდა. ეს პროექტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მას შემდეგ, რაც კრისტინამ ბავშვებს ვორკშოპი ჩაუტარა, აღმოჩნდა, რომ ბიბლიოთეკაში ბავშვების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. წელს ნერის ვორკშოპიც ილუსტრაციებიც დამატდა, რამაც კიდევ უფრო საინტერესო და სახალისო გახდა პროექტი. ვორკშოპები საშემოდგომო არდადეგებზე იმართება, ასევე ტარდება ქსოვის ვორკშოპებიც, რომელზე დასწრებაც აქ მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. ბიბლიოთეკა ყველასთვის ღიაა. სევიას ბიბლიოთეკის აქტივობებმა ახალგაზრდა მკითხველთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს ყველაფერი ახალგაზრდებისთვის უფასოა.

„წელს სკოლის უკრიკულუმში შევიდა ბიბლიოთეკის საჭიროება, რამაც სკოლების ჩართულობა გააორმაგა, – გვიყვება ბიბლიოთეკარი ნინო დავოლი, – ხშირად სკოლებიდან უკვეთავენ სერვისს და მთელი კლასი მოჰყავთ ხოლმე ბიბლიოთეკაში საგაკვეთილო პროცესის დროს. ერთობლივი ღონისძიებები და აქტივობები ტარდება. მოზარდებისთვის განსაკუთრებით საყვარელია კიბეებით ასასვლელი პატარა კუთხე, სადაც ისინი თავისუფლად დროს ატარებენ, მუსიკას უსმენენ, მეცადინეობენ ან უბრალოდ საუბრობენ.“

ეს პატარა კულტურული ოაზისი ყველა ასაკის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი, იქ ბევრ ხანდაზმულ ადამიანსაც შეხვდებით, საათობით სხედან და კითხულობენ პრესას თუ მათთვის საინტერესო წიგნს.

როგორც გითხარით, სევიას ბიბლიოთეკაში წლევიანდელ ნერის ვორკშოპს საბავშვო მწერალი და ჟურნალისტი კრისტინა ვალდენი უძღვებოდა. მან ქართული დელეგაცია სახლში მიგვიპატიჟა და იქ გვიამბო, როგორ მუშაობდა სევიას ბიბლიოთეკის პატარა მკითხველთან. „წლების განმავლობაში ვწერ მოზარდებისთვის იმ თემატიკაზე, რომელიც მათთვის აქტუალური და პრობლემატურია. ჩემი ყურწალისტური გამოცდილებიდან

გამომდინარე, წლების განმავლობაში ვმუშაობდი კრიმინალურ ქრონიკაში, ათეულობით წიგნი დავწერე სწორედ კრიმინალურ თემატიკაზე, კონკრეტულად ქალებსა და ბავშვებზე ძალადობაზე შევდექით, „ღირსების მკვლელობებზე“, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ერთ-ერთი ჩემი წიგნი – „მოკლე კაბა“, რომელიც რეალურ გარემოებებს ეყრდნობა, სევედისმომგვრელია, აღწერილია ორ მოზარდ გოგონაზე სექსუალური ძალადობა მათივე თანაკლასელი ბიჭების მხრიდან. მართალია, წიგნი ათი წლის წინ დაიწერა, მაგრამ, დღესაც, ჩემ წიგნებს შორის, ყველაზე მოთხოვნადია. მაგალითად, გასულ წელს ის 14 ათასჯერ გაიტანეს ბიბლიოთეკიდან. როგორც გითხარით, სინამდვილეში ეს სევედისმომგვრელი ფაქტია და უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, ასეთი წიგნების საჭიროება რომ აღარ იყოს. ვწერ თემებზე, რომლებიც ბავშვებს საკუთარ თავს ამოაცნობინებს; პრობლემებზე, რომლებიც მათთვის ახლობელია, თავს გადახდენიათ. მართალია, ასეთი ტიპის წიგნები ვერ იქნება პირდაპირი მითითების წყარო, როგორ უნდა მოიცუნენ კონკრეტულ შემთხვევებში, მაგრამ მათი მეშვეობით ხშირად უადვილდებათ იმ ძალადობაზე საუბარი, რაც თავს გადახდენიათ. ჩემი ერთ-ერთი წიგნის პრეზენტაციაზე, რომელიც ასევე ძალადობას ეხებოდა, ჩემთან მოვიდა გოგონა და მითხრა, რომ ასეთი რამ, რაც წიგნშია აღწერილი, მის ერთ მეგობარს შეემთხვა. მაშინვე მივხვდი, რომ ეს მის მეგობარს კი არა, თავად შეეხო, ანუ თვითონ იყო ძალადობის მსხვერპლი. ასე უფრო უადვილდებათ ლაპარაკი. ეს მისაღებიცაა, მთავარია, ამაზე ილაპარაკონ. ხშირად მშობლები აპროტესტებენ, მიაჩნიათ, რომ ამ თემებზე არ უნდა ვწერო და რომ ეს ტყუილია. სინამდვილეში კი, მოზარდები გულწრფელად მეუბნებიან, რომ ეს მართლაც ასე ხდება.“

რაც შეეხება სევიას ბიბლიოთეკაში ჩემს მუშაობას, დამიკავშირდა სევიას ბიბლიოთეკარი ნინო, რომელმაც მთხოვა, მათთან ნერის ვორკშოპი გამეკეთებინა. ამას საიმედოვნად დავთანხმდი. სევია, მოგეხსენებათ, მულტიკულტურული უბანია, რინკე-ბიუს ანალოგია, ოღონდ უფსალაში. აქ ძალიან ბევრი ემიგრანტი ბავშვი ცხოვრობს. საზოგადოებასთან მათ ინტეგრირებაში ბიბლიოთეკას სერიოზული ადგილი უკავია. ამ ბავშვებს ძალიან დაბალი თვითშეფასება აქვთ, არადა ბევრ მათგანს შეუძლია კარგად თხრობა და შესაძლოა, კარგად წერაც გამოუვიდეთ. როცა მოზარდებთან კლასში შევიდევარ და ვეკითხები, შეუძლიათ თუ არა წერა, მპასუხობენ – არა. მე მათ ვახსენებ, წელწანდში რამდენ სმს-ს უგზავნიან მეგობრებს და ახლობლებს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ სმს-ის წერაც წერაა. ძალიან ბევრი ბავშვი, როგორც გითხარით, ემიგრანტია და შევდურ ენასთან ერთად, ვცდილობთ, მათი მშობლიური ენაც შევასწავლოთ, ისინი ამას მნიშვნელოვნად არ აღიქვამენ. ვცდილობთ, დავარწმუნოთ, რომ მშობლიური ენის ცოდნა აუცილებელი და მნიშვნელოვანია. საინტერესო იყო ასეთი შემთხვევა: ვორკშოპზე სიარულის სურვილი 12 წლის ტყუპმა ძმებმა გამოთქვეს. სამწუხაროდ, მათ შეფერხება ჰქონდათ ალქმასა და წერაში. რასაკვირველია, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ თავი უფრხულად არ ვგრძნობთ, ხმამაღლა ვუკითხავდით წიგნებს. ბიჭებს ვორკშოპის არც ერთი დღე არ გამოუტოვებიათ. ვფიქრობ, ასეთი ტიპის აქტივობები უადვილებს ემიგრანტ ბავშვებს გადალახონ პრობლემები, რომელიც ასეთი კატეგორიისათვის თანმდევი. ამის მერე უადვილდებათ საზოგადოებაში ინტეგრირება. სევიას ბიბლიოთეკა ამისთვის ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, და აკეთებს წიგნებთან ერთად.“



შედეგი დღიურები

„მიმი“ თქვენთან მოვიდა

შვედი პატარები განსაკუთრებული სიხარულით ელოდებიან ერთი ავტობუსის გამოჩენას. ამ ავტობუსს სახელად „მიმი“ ჰქვია და სხვა ავტობუსებისაგან გამოირჩევა...

ალარ აქეს. ახალგაზრდები თავად არიან ამ აქტივობების ინიციატორები, თავად ქმნიან პროექტებს. „პუნქტ მედისის“ მიზანია, იდეა და ინიციატივა ახალგაზრდებისგან მოდიოდეს...

გამოსცემენ ლიტერატურულ ჟურნალს, რომელშიც ახალგაზრდების რჩეული მხატვრული ნაწარმოებები და ლექსები იბეჭდება. ჟურნალში შერჩეული ავტორებიდან რამდენიმე მართლა მწერალი გახდა...

„მიმი“ იმდენად პოპულარული გახდა სტოკჰოლმის ბავშვებისთვის, რომ იმ 140 ბავშვის გარდა, რომელსაც ეს მოძრაობა ბიბლიოთეკა სისტემატურად ემსახურება...

„პედაგოგებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ, როგორ გამოიყენონ ჩვენი ბიბლიოთეკა. „მიმი“ ბავშვის წინ ჩერდება, ზოგი მარტო მოდის და თვითონ მიაქვს ბავშვებისთვის წიგნები...

ასე გადაეყრებით, ნებისმიერ დღეს, ოთხშაბათის გარდა, სტოკჰოლმის ქუჩებში მობილურ ბიბლიოთეკას – „მიმის“.

„პუნქტ მედისის“

ეს ცენტრი ახალგაზრდების შეხვედრის ადგილად იქცა. ამ ბიბლიოთეკის გახსნას, 2005 წელს, ხელი შეუწყო პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, სტოკჰოლმის სამხრეთ ნაწილში გახსნილიყო ახალგაზრდული ბიბლიოთეკა...

ამისთვის სპეციალური პროგრამა – „სამინაო დავლება“ ფუნქციონირებს. გაკვეთილების მომზადებაში მათ სავანგებოდ მოწვეული ყოფილი პედაგოგები ან სტუდენტები ეხმარებიან...

ნათურების ფაბრიკიდან თაბაქისთვის განწყობილ გარემოში

ბიბლიოთეკარმა ულვა ჰონკანსონმა დაგვათვალისწინა ლუმას ბიბლიოთეკა, რომელმაც ნათურების ფაბრიკის ძველ შენობაში დაიდო ბინა...

შენთვის სასურველ მუსიკასაც, იმ ვაშლის ხესაც, რომელიც შეფერხების მქონე ადამიანების საგანგებო კუთხედ ქვეულა, აქ მათთვის სპეციალური საჭიროების მქონე ლიტერატურა განთავსებული.

შენობის ჭერი ისევე ნათურების ფაბრიკის ასოციაციას გიქმნის, ამ მხრივ იქ ბევრი არაფერი შეცვლილა, მთავარი და საინტერესო ბავშვებისთვის დაბლა ხდება, წიგნებთან და სათამაშოებთან ურთიერთობისას.

იუნიაკენი

ყველაზე შთამბეჭდავი „იუნიაკენში“ სტუმრობა იყო. ეს ხომ ყველა ბავშვის ოცნებაა – ასტრიდ ლინდგრენის ზღაპრების მიხედვით შექმნილი მინიატურული ზღაპრული სამყარო, სადაც ზღაპრის თანამონაწილე ხდები...

„იუნიაკენის“ ლოგოს დღესაც პატარა, ქოლგანი გოგონა, მადიკენი, ამშვენებს, რომლის პროტოტიპიც ან-მარი ინგსტრომი. მის შესახებ მსოფლიო საზოგადოებამ მხოლოდ 1991 წელს შეიტყო, მაშინ, როდესაც კეთილმა შვედმა მეზობარემ, ასტრიდ ლინდგრენმა, მსოფლიო საზოგადოებას ნამდვილი მადიკენის ამბავი უამბო.

შექმნილი ბანკირის შვილი, ან-მარი ინგსტრომი, ასტრიდ ლინდგრენის ბავშვობის მეგობარი იყო. მათ ერთმანეთი სმოლანდის მხარეში, პატარა დასახლება ვიმერბიში გაიცნეს და სიცოცხლის ბოლომდე ერთვულ მეგობრებად დარჩნენ...

არაოფიციალურად, „იუნიაკენს“ ასტრიდ ლინდგრენის მუზეუმს უწოდებენ, სინამდვილეში კი, ის ზღაპრული სათამაშო სახლია, სადაც პატარებს ძალიან ბევრი საინტერესო გასართობი ელოდებათ. აქ ხომ ყველაფერი ბავშვებისთვის და მათი სიამოვნებისთვისაა შექმნილი.

„იუნიაკენის“ პატარ-პატარა ქონახებში ცნობილი შვედი საბავშვო მწერლების: ტუვე იანსონის, ლენა ანდერსონის, ელსა ბესკოუს, ლენარტ ჰელსინგის, სვენ ნურდკვის-

ტისა და კარინ ვირშენის პერსონაჟები მათსავე ციციქნა სამყაროებში ცხოვრობენ, თუმცა ყველაზე დიდი ადგილი მაინც ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედებას უჭირავს. ყველაზე მომაჯადოებელი კი, მსოფლიოში ყველაზე უცნაური მატარებლით მოგზაურობაა – 11 ჯადოსნურ წუთში შესაძლებელია პეპისაც ესტუმროთ ვილა „ყიცილიყოში“, კარლსონის არეულ-დარეულ სახლსაც, ემილიც მოინახულოთ, ყაჩაღის ასული რონიაც მოძებნოთ და ბატონ ნილსონსაც მიესალმოთ შორიდან...

გარემო უამრავი ბავშვი ირევა... ზღაპრული სამყაროდან გამოსული ბავშვები ახლა დაბლა მიიქარებიან, იქ „იუნიაკენის“ ცნობილი კაფეტერიაა, მიიქ-

ქარიან, რადგან ასტრიდ ლინდგრენის პერსონაჟების საყვარელი „მაჭკატებისა“ და „თაფლაკვერების“ სურნელი ინვეთ. აქ ყველაფერი ისე დამაბნეველად მიმზიდველია, რომ ასაკს ვერც კი გრძნობ, ეს შენი ბავშვობის ქვეყანაა, ზღაპრების ქვეყანა, რომელზეც ალბათ ყველას უოცნებია.

„იუნიაკენის“ პატარა სკვერიდან კი, ყველასათვის საყვარელი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის ღიმილიანი ქანდაკება გამოგაცილებთ. იქიდან ნამოსული აუცილებლად გააგრძელებს ოცნებას, როგორ მოხვდეს შენი ახლობელი პატარა ლინდგრენის ზღაპრების მიხედვით შექმნილ მინიატურულ ზღაპრულ სამყაროში, სადაც თუნდაც 11 წუთის განმავლობაში, ზღაპრის თანამონაწილე გახდები. აუცილებლად ფიქრობ იმაზეც, რომ შვედეთი გასაოცარი ქვეყანაა, თუნდაც იმით, რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ საბავშვო ლიტერატურისა და საერთოდ წიგნის მიმართ. ამის თქმის უფლებას შვედეთში გატარებული დღეები და იქ ნანახი ბიბლიოთეკები მძლევს.





# „რუსთაველის კლუბი“ – „ვეფხისტყაოსნის“ ქობაზის სახელის უკვდავსაყოფად

მაია ყიფიანი

25 ოქტომბერს, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური გამოცემიდან 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ქართველი მეცნიერის რევაზ სირაძის სახელობის „რუსთაველის კლუბის“ და ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამოცემის – „ყვავილნარი“ პრეზენტაცია გაიმართა.

„რუსთაველის კლუბი“ ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის – გიორგი კეკელიძის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის – ქეთევან სირაძის და პროექტის „ვეფხისტყაოსნის რუსთაველს“ ხელმძღვანელის – თამარ ბარისაშვილის ინიციატივით დაფუძნდა.

თამარ ბარისაშვილი, პროექტის „ვეფხისტყაოსნის რუსთაველს“ ხელმძღვანელი, „რუსთაველის კლუბის“ იდეის ავტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელი: „რუსთაველის კლუბი“ დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის თაოსნობით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კლუბს ენიჭება რევაზ სირაძის სახელი, რომელიც მხარში ედგა განმანათლებლო-ლიტერატურულ პროექტს „ვეფხისტყაოსნის რუსთაველს“, ის იყო ქვეყნის მამულიშვილი, მეცნიერი და აღმზრდელი. მიუხედავად იმისა, რომ ვარ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბატონ რევაზ სირაძეს პირველად 2001 წელს შევხვდი, ლიტერატურის ინსტიტუტში ვენ-ვიე პროექტის „ვეფხისტყაოსნის რუსთაველს“ თაობაზე. მას მერე ბატონი რევაზი იყო კონკურსის ქომაგი, ყოფრის საპატიო წევრი. მან მართლაც განუყოფელი ამავი დასდო ჩვენს ნამონაცემს.

წელს, 19 სექტემბერს, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში პირველად ჩატარდა კონკურსის „ვეფხისტყაოსნის რუსთაველს“ დასკვნითი ტური და ჩვენ შორის პირველად არ იყო ბატონი რევაზი. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, რომ ამ სივრცეში „რუსთაველის კლუბის“ დაფუძნება რევაზ სირაძის სახელს დაკავშირებოდა. შემდგომში კი, კლუბის საქმიანობის ერთი მიმართულება ბატონი რევაზის მოღვაწეობის გაცნობა-შესწავლას დასთმობდა.

სურვილი ვაკაცანი ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს, ბატონ გიორგი კეკელიძეს. მან ეს ინიციატივა სიხარულით მიიღო და ჩვენი შეთანხმება შედგა, 25 ოქტომბერს იდეა რეალურად იქცა“.

მაია კობახიძე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე: „ვეფხისტყაოსანი“ მთელი სამყარო ადამიანობისა და საზოგადოებრივი აზროვნების, მოქალაქეობრივი მრწამსის კლასიკური ნიმუში. XII საუკუნიდან დღემდე ჩაელია დრო-ჟამმა, სამწუხაროდ, შეცვალა და გადაასხვავებდა ურთიერთობები მოქალაქეებსა და საზოგადოებებს შორის, გაიზარდა კონფლიქტებისა და უხეშობის ალბათობა ადამიანებში, დროის დაჩქარებამ უფრო აგრესიული გახდა კაცის დაცემული ბუნება, განუყოფელი რუსთაველურ სიყვარულს, ხედვას: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამორდად...“

გულისხმობის, კაცთმოყვარეობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების შოთასეული განცდა XXI საუკუნის მოქალაქეებმა დროდადრო უნდა შევისხენოთ და ვეცადოთ, რეალურ ცხოვრებაში დავერგოთ.

ვეფხისტყაოსნის „რუსთაველის კლუბი“, რომელსაც დღეს ვაფუძნებთ, არაჩვეულებრივი პირობა იქნება იმისა, რომ ამ მიმართულებით მრავალი კეთილი საქმე განვახორციელოთ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი ყოველთვის იქნება გულმემატკივარი და ინიციატორი სამოქალაქო აზროვნების სამართლებრივი უნარების განვითარებისა, რომ „ქმნა მართლისა, სამართლისა“ გახდეს საქართველოს აღორძინების უცდილო პირობა“.

გრიგერ ფარულავა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი: „ძალიან ძნელია რევაზ სირაძეზე წარსულში საუბარი. სასიხარულოა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკაში მისი სახელის უკვდავსაყოფად დაარსდა „რუსთაველის კლუბი“. რევაზ სირაძე ყველაზე მეტად ადამიანში აფასებდა პიროვნებასა და პიროვნულს. ძნელი იყო მასთან მეგობრობა. ხშირად ამბობდა: ადამიანის ღირსებაზე მისი პიროვნება და განუყოფელი ინდივიდუალური სული ყველაზე მეტად მეტყველებს. ბოლო წლებში მეგრვერ უთქ-

ვამს, ღირსეულობა აღმოსაჩენი გახდა და წუხდა კიდევ ამაზე. ლიტერატორი მისთვის პროფესია არ იყო, ის იყო მისი სიცოცხლე, არსებობის საზრისის დამადასტურებელი“.

გია მურულუა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი: „მინდა ვაეხსენო ბატონი რევაზის ერთი მარტივი შეგონება, მის მონაცემებს გვეუბნებოდა ხოლმე: „არასდროს არ უნდა დახარჯო იმაზე მეტი სიტყვა, ვიდრე საჭიროა“. ამიტომ მეც მოკლედ გეტყვი, „რუსთაველის კლუბის“ დაარსება შესანიშნავი ნამონაცემია, მით უმეტეს, რომ კლუბი დიდებული ადამიანის, რევაზ სირაძის სახელის მატარებელი იქნება, რისთვისაც დიდი მადლობა ორგანიზატორებს. ბატონი რევაზ ჩვენთვის ძვირფასი მასწავლებელი იყო, ის იყო კაცი, რომელიც ამართლებდა ჩვენი ცხოვრების ორ მთავარ პოსტულატს – ფიქრის ესთეტიკას და ფიქრის ღირსებას“.

პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან 300 წლის-თავს დაუკავშირდა ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამოცემა „ყვავილნარი“. ეს არის ძველი სასიყვარულო თამაზის, „ფლორის“ სახით გამოცემული „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი სასიყვარულო შინაარსის ფრაზები. გამოცემის იდეის ავტორის, დილი კუპრავას თქმით: „თამაზი აიგო „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრებილი სასიყვარულო შინაარსის, ეროტიული, გლამურული ფრაზებზე. ეს გამოცემა ახალგაზრდებისათვის პოემის გადახედვის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა“. სასიყვარულო ბარათები ილუსტრირებულია XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის კარის მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ილუსტრატორის, მამუკა თავაქარაშვილის ნახატებით. თითოეულ ბარათზე ექვსი მცენარის სახელია (ამ სახელებით მიმართავენ მოთამაშეები ერთმანეთს) და არც ერთი მათგანი არ მეორდება. მცენარეთა სახელები აღექსნდრე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ არის ამოკრებილი.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური გამოცემის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებული „რუსთაველის კლუბის“ პრეზენტაციაზე, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, წარმოდგენილი იყო ექსპოზიცია – „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემები, რომელიც გამოიყენა ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდის მიერ.

ნინო ხვედელიძე, იშვიათ გამოცემათა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი: „გამოფენის მთავარი ექსპონატი, რა თქმა უნდა, 1712 წელს ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი პოემა იყო. ეს წარმოდგენილი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ იმ მხრივაც მნიშვნელოვანია, რომ იგი ილია ჭავჭავაძის კუთვნილება გახლდათ. დღეს ეს ვებემპლარი იშვიათ გამოცემათა ფონდში, ილია ჭავჭავაძის კოლექციაშია დაცული. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გამორჩეული პოლიგრაფიული ხარისხის გამოცემები და საუკეთესო თარგმანები. „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე თარგმნეს ნიკოლოზ ბალმონტმა, გიორგი ცაგარელმა, მალვა ნუცუბიძემ, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ და სხვებმა. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებულად ძვირფასია ნუცუბიძისეული თარგმანი, რომელიც საპატიმროში, რეპრესიების პერიოდში, სტალინის ბრძანებითაა შესრულებული. მნიშვნელოვანია ასევე მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც ყოველთვის საპატიო ადგილი უჭირავს სხვა თარგმანთა შორის. უკვდავი პოემის ორი მინიატურული გამოცემიდან, რომლებიც გამოფენაზე შეედლო დამოუკიდებელს ეხილა, პირველი აკადემიური გამოცემის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებითაა დაბეჭდილი და ჭედური ჩუქურთმითაა შემკული. მეორე კი, 1943 წელს ბერლინშია გამოცემული. „საერო ბიბლია“ წოდებული, შოთას უკვდავი პოემის ეს პატარა ნიგონი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ვაჟკაცებს გულის ჯიბით დაჰქონდათ თურმე. გამოფენაზე წარმოდგენილი შავი ხავერდის ქსოვილგადაკრული ნიგონი, რომელსაც შოთას და თამარის პორტრეტები ახლავს, პოლონეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის – მიხეილ კვალიაშვილის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი ქართველი ერისთვის.

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა რომ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედევრია, ამას მსოფლიოს 37 ქვეყანაში 46 ენაზე დაბეჭდილი 400-მდე გამოცემაც ადასტურებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში „რუსთაველის კლუბისა“ და „ყვავილნარის“ პრეზენტაციის პარალელურად, მხატვარ ქეთევან მატაბელის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო – წარმოდგენილი იყო მისი ცხრა ნამუშევარი – ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნიდან“.

## იურისტის კონსულტაცია

თუ დირექტორი, რომელიც იმავდროულად აკადემიკოსად და ატარებს გაკვეთილებს, საპენსიო სააკისაა, ვერ მიიღებს ერთდროულად ხელფასს და პენსიას, ვინაიდან, იგი როგორც დირექტორი, გამოხატვის სახით არის უფლებამოსილი ეწოდეს პედაგოგიურ საქმიანობას. დირექტორის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელება, რაც გამოიწვევს ხელფასთან ერთად პენსიის მიღებას.

**რა შემთხვევაში მიიქცევა საჯარო სკოლის პედაგოგის სერტიფიკატის ვადამდებელი პედაგოგის დანამატი (75 ლარი)?**  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, სრული ან სრულზე მეტი დატვირთვის შემთხვევაში, მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი, ყოველთვიურად, 75 ლარის ოდენობით.

ამავე ინსტრუქციის თანახმად, სრული დატვირთვა ნიშნავს 36-საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 საგაკვეთილო საათი კვირაში. სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს.

სერტიფიკატზე პედაგოგს მიეცემა სერტიფიკატზე უფლებამოსილი პედაგოგის დანამატი (75 ლარი) იმ შემთხვევაშიც, თუ სკოლაში შესაბამისი საგაკვეთილო საათების რაოდენობა ნაკლებია სრული დატვირთვისთვის საჭირო საათების რაოდენობაზე, თუ სკოლაში, არსებული შესაბამისი საგაკვეთილო საათების სერტიფიკატზე უფლებამოსილი სრულ ოდენობამდე განაწილების შედეგად, დარჩა სრულ განაკვეთზე ნაკლები საგაკვეთილო საათი, თუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგის დატვირთვა შეადგენს კვირაში 14 საათს, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების პედაგოგი ჩააბარებს სასერტიფიკაციო გამოცდას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ ერთ-ერთ საგანში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) და თუ რამდენიმე საგანში სერტიფიკატზე უფლებამოსილი პედაგოგის დატვირთვა შეადგენს სერტიფიკატზე უფლებამოსილ საგნებში 18 და მეტ საგაკვეთილო საათს კვირაში.

№576 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, 75-ლარიანი დანამატი მიეცემა სერტიფიკატზე უფლებამოსილი პედაგოგს (გარდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგისა), რომლის სამუშაო დატვირთვა კვირაში შეადგენს 15-17 საათს.

**რაგანს შეადგენს საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტული ნაწილის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე პედაგოგის დანამატი?**  
პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლის გამოცდის ექსპერიმენტულ ნაწილს, მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი, ყოველთვიურად, 75 ლარის ოდენობით.

**რა საგანში შეიძლება დატვირთვა უფლებამოსილი პედაგოგის მიერ?**  
დღეს მოქმედ ბევრი სკოლის შინაგანანესში შეინიშნება შემდეგი სახის ხარვეზები:

ა) დისციპლინური გადაცდომები არის ზოგადი არ არის მიზანშეწონილი შინაგანანესში დისციპლინური გადაცდომად მიჩნეულ იქნეს ისეთი ზოგადი ფრაზები, როგორცაა, მაგალითად, ზოგადზნობრივი პრინციპების წინააღმდეგ წასვლა ან განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლა. გადაცდომა უნდა იყოს კონკრეტული და ამომსურავი. ასეთი ზოგადი ფრაზების სკოლის შინაგანანესში ჩანერა იწვევს სკოლის ადმინისტრაციითა მიერ გადაცდომის მრავალნაირ ინტერპრეტირებას, რასაც ხშირად მოჰყვება ხოლმე მასწავლებელთა უფლებების შელახვა.

ბ) დისციპლინური გადაცდომები არ არის საკმარისად განმარტებული  
მიზანშეწონილია, თითოეული დისციპლინური გადაცდომა სკოლის შინაგანანესში იყოს განმარტებული. მაგალითად, როდესაც სკოლის შინაგანანესი შეიცავს ისეთ გადაცდომას, როგორცაა სამსახურეობრივ მოვალეობათა მიმართ დაუდევარი დამოკიდებულება, შინაგანანესმა უნდა განსაზღვროს, თუ რა შემთხვევები მიიჩნევა მოვალეობებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებად.

გ) არამკაფიოდ არის განვარტებული დისციპლინური სახდელის გამოყენების თანმიმდევრობა და პროცედურა  
სკოლის შინაგანანესმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სახდელის გამოყენების თანმიმდევრობა – რა გადაცდომის შემთხვევაში, რა სახის სახდელი გამოიყენება და რა პროცედურით.

დ) არ არის გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების განხილვა სკოლის კოლექტიური ორგანოების მიერ  
მიზანშეწონილია, სკოლის შინაგანანესებმა გაითვალისწინოს დისციპლინური გადაცდომის საქმეების განხილვა დისციპლინური კომიტეტის, სამეურვეო საბჭოს ან სააპელაციო კომიტეტის მიერ. სკოლის შინაგანანესები არ უნდა ითვალისწინებდეს დისციპლინური საქმეების განხილვას ერთპიროვნულად, სკოლის დირექციის მიერ.

თამარ ავალიანი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი



ეპოქა

როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში

ჩვენ ვაგრძელებთ წერილების ციკლს – როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში. ამ სტატიებში საქართველოს საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლებს გავუზიარებთ საკუთარ გამოცდილებას და გაგაცნობთ დავალებათა ყველა ტიპის ნიმუშს, რომლებიც დაგეგმარებულია გამოცდისთვის მომზადებაში. პირველ წერილში გაგაცნობთ საერთო მოსაზრებები და დავალებათა ორი ტიპი. დღევანდელ ნომერში წარმოგიდგინებთ კიდევ 2 ტიპის დავალებების ნიმუშებს.

**დავალბების III ტიპი – შვიდობის აღმოჩენა.** ამ ტიპის დავალება თქვენთვის ნაცნობია. დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელზეც გარკვეული ინფორმაცია შეცდომითაა მოტანილი. აპლიკანტმა უნდა აღმოაჩინოს და შეასწოროს ეს შეცდომები. შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი 1 ქულით შეფასდება. წლებიდან გამოცდაზე წარმოდგენილი იყო ერთი ტექსტი საქართველოს ისტორიიდან. მოსალოდნელია, რომ მომდევნო წელსაც იგივენაირად მხოლოდ ერთი ტექსტი იქნება ან საქართველოს ან კიდევ მსოფლიოს ისტორიიდან. ამიტომ სავარაუდოდ ქვემოთ წარმოგიდგინებთ ორ ტექსტს: ერთია – საქართველოს, ხოლო მეორე მსოფლიოს ისტორიიდან. ორივე ტექსტში შეგნებულად დაშვებულია 8-8 შეცდომა. პასუხები ამავე სტატიის ბოლოსაა მოცემული. ამ დავალების შესრულების დროს უნდა იყოთ მაქსიმალურად კონცენტრირებული. მიაქციეთ ყურადღება ყველა სიტყვას. მაგალითად, შარშანდელ ტექსტში ბევრმა მასწავლებელმა ქართველთა მამამთავარ ქართლოსთან მიმართებაში არ მიაქცია ყურადღება სიტყვას „ეპარქი“, რომელიც, თუ დაუკვირდებით, აბსოლუტურად ამოვარდნილი იყო ტექსტის კონტექსტიდან და უნდა გაგესწორებინათ სიტყვით „ეთნარქი“. ამიტომ ისევ გიმეორებთ, დავალების შესრულების დროს იყავით მაქსიმალურად ყურადღებით.

**ა. 542 წელს ირანის ჯარი პეროზის მეთაურობით ეგრისში შემოვიდა და ნათესთან ერთად ბიზანტიელებს შეუტია.** თავიდან მათ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ირანელებს არ მოსწონდათ ეგრისის მეფის დამოუკიდებელი ხასიათი. ამიტომ მათ გადაწყვიტეს მისი მოკლა. ამ მიზნით ისინი დაუკავშირდნენ ეგრისელ წარჩინებულს აიეტს, რომელსაც მეფესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და დაავალეს მისი მოკლა. თუმცა ის მოლაღატე არ აღმოჩნდა და ყველაფერი მეფეს შეატყობინა. განრისხებული ეგრისის მეფე კვლავ ბიზანტიელთა მხარეს გადავიდა და სიკვდილის ბოლომდე მათთან ერთად ებრძოდა ირანელებს. ეგრისში ირანელებს და ბიზანტიელებს შორის ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლები ზღვისპირა როდოპოლისის და დედაქალაქ ფაზისისთვის გაიმართა. 551 წელს ირანელთა სარდალი მერმეოე დედაქალაქის ასაღებად გაემართა. ამ დროს ქალაქს ეგრისელებთან ერთად 3 000-კაციანი ბიზანტიური გარნიზონიც იცავდა. ირანელების ჯარმა მთელი ძალით შეუტია ქალაქს. მათ ამ ბრძოლებაში 8 საბრძოლო სპილოც გამოუყენებიათ. მიუხედავად რიცხოვნობისა და მრავალრიცხოვანი სააღრეო მანქანების გამოყენებისა, სპარსელებმა ვერ აიღეს ქალაქი. დედაქალაქის დაცვის დროს მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ბიზანტიელი სარდლები საკმაოდ უნიჭოდ ირჯებოდნენ. ეგრისის მეფე ენერგიული ადამიანი იყო და ბიზანტიელი სარდლებისგანაც შესაბამის ქმედებებსაც მოითხოვდა. ის ხშირად აკრიტიკებდა მათ და იმპერატორ იუსტინე I-თან ასმენდა ხოლმე. ამის საპასუხოდ, ბიზანტიელმა სარდლებმა მას ლაღატი დასწამეს და იმპერატორს შეატყობინეს. იმპერატორმა ეგრისის მეფე კონსტანტინოპოლში დაიბარა. ამან სარდლები შეაშფოთა, რადგან იქ სიმართლე გაირკვეოდა. 560 წელს ბიზანტიელმა სარდლებმა ეგრისის მეფე ვითომდა სათათბიროდ მიიწვიეს და მდ. ცხენისწყალთან მოლაღატურად მოკლეს.

შეცდომა	უნდა იყოს

**ბ. XI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს არაბთა სახელმწიფო გაძლიერდა და ბიზანტიის იმპერიას დაემუქრა.** ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ დასახმარებლად რომის პაპს მიმართა. რომის პაპი პიუს I გაგებით შეხვდა ამ თხოვნას. 1093 წელს ქ. სტრასბურგში, საეკლესიო კრებაზე წარმოთქვა ისტორიული სიტყვა. მან ევროპელ მეფე-მთავრებს „წმინდა მიწის“ გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა. პაპის სიტყვებით ამ ლაშქრობის მიზანი აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანების დახმარება და ქრისტეს საფლავის (ქ. იერუსალიმში) ურწმუნოთაგან გათავისუფლება იყო. ლაშქრობის მონაწილეებს ის ზეციურ სამოთხეს დაჰპირდა. პაპის მოწოდებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბევრი სახელოვანი რაინდი – ჰერცოგი ოტფრიდ ბულონელი და მისი ძმა ბალდუინი, გრაფი რაიმონდ ტულუზელი, აპულიის, კალაბრიის და სიცილიის ჰერცოგის შვილი ბოემუნდ ტარტანელი, ინგლისის მეფის ძმა ნორმანდიის ჰერცოგი რობერტი, საფრანგეთის მეფის ძმა ჰუგო და სხვა გამოეხმაურა. იერუსალიმის გასათავისუფლებლად 1096 წელს ოთხი ძირითადი არმია დაიძრა. ისინი 1097 წელს კიპროსზე შეერთდნენ და იქიდან ერთობლივად მცირე აზიისა და სირია-პალესტინისკენ გააგრძელეს გზა. მომდევნო წელს მათ სირიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი – დამასკო, ხოლო 1099 წელს – იერუსალიმი აიღეს. ჯვაროსნების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე დაარსდა ახალი ჯვაროსნული სამეფო-სამთავროები, მათ შორის იერუსალიმის სამეფო, რომლის პირველი მეფე ბალდუინი გახდა.

შეცდომა	უნდა იყოს

**დავალბების IV ტიპი – შესაბამისობის დადგენა.** დავალებაში ინფორმაცია ორ სვეტადაა წარმოდგენილი. დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. წლებიდან საგამოცდო ტესტში ერთ-ერთი ასეთი დავალება გულისხმობდა მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის შედგენილი სხვადასხვა სირთულის დავალების შესაბამისობის დადგენას იქვე მოცემულ კოგნიტიურ მიზანთან (ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით). ამ ტიპის დავალების ნიმუშს, შესაბამისი განმარტებებით (ბლუმის ტაქსონომიასთან მიმართებაში), შემდგომ წერილში წარმოგიდგინებთ. ამჯერად, სავარაუდოდ მოგაწვდით იმავე IV ტიპის დავალებით განსაზღვრულ სხვა ტესტებს. დავალებაში მოცემულია ორი სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. უნდა დადგინდეს ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის არსებული შესაბამისობა.

1. ქართული მოვლენები:

- ა. დავით ჯანდიერი
- ბ. ისევ ფალავანდიშვილი
- გ. ბესიკ გაბაშვილი
- დ. იოანე საბანისძე
- ე. ზურაბ არაგვის ერისთავი
- ვ. დავით არგვეთის ერისთავი

ქვეყნები, ხალხები

- 1. არაბები
- 2. რუსეთი
- 3. სეფიანთა ირანი

2. ისტორიული მოვლენები

- ა. კატალაუნის ბრძოლა
- ბ. რომის გაძარცვა და ნგრევა
- გ. V ს-ში გალიაში შეჭრა
- დ. VI ს-ში ბურგუნდიის შეერთება
- ე. ვახტანგ გორგასლის ირანის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა
- ვ. აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე სახელმწიფოს შექმნა

ხალხები

- 1. ფრანკები
- 2. ჰუნები
- 3. ვანდალები

3. ისტორიული პირები

- ა. იოანე ზედაზნელი
- ბ. დავით III კურაპალატი
- გ. ივანე მხარგრძელი
- დ. სადუნ მანკაბერდელი
- ე. გიორგი მთაწმინდელი
- ვ. სტეფანოზ ერისმთავარი

„ქართლის ცხოვრების“

თხზულებაში

- 1. ასნლოვანი მატიანე
- 2. მატიანე ქართლისა
- 3. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა

4. ისტორიული პირები

- ა. კარდინალი რიშელიე
- ბ. ოლივერ კრომველი
- გ. მონტესკიე
- დ. მარტინ ლუთერი
- ე. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II
- ვ. ინგლისის მეფე ჰენრი VIII

საუკუნეები

- 1. XVI ს.
- 2. XVII ს.
- 3. XVIII ს.

ამით ვასრულებთ დღევანდელ წერილს. ქვემოთ მოცემულია III და IV ტიპის დავალებების პასუხები. დანარჩენი ტიპის დავალებების შესახებ შემდგომ წერილებში მოგიტობრბთ.

III – შეცდომის აღმოჩენა (სულ 8-8 ქულა)

შეცდომა	უნდა იყოს
პეროზის	ხოსროს
ნათესთან	გუბაზთან
აიეტს	ფარსმანს
როდოპოლისის	პეტრას
ფაზისისთვის	არქეოპოლისისთვის
იუსტინე I-თან	იუსტინიანე I-თან
560 წელს	554 წელს
მდ. ცხენისწყალთან	მდ. ხოზისწყალთან


შეცდომა	უნდა იყოს
არაბთა სახელმწიფო	თურქ-სელჩუკთა სახელმწიფო
ბასილი II-მ	ალექსი I-მა
პიუს I	ურბან II
1093 წელს	1095 წელს
ქ. სტრასბურგში	ქ. კლერმონში
კიპროსზე	კონსტანტინოპოლში
დამასკო	ანტიოქია
ბალდუინი	გოტფრიდ ბულონელი

IV-შესაბამისობის დადგენა

- 1. (6 ქულა) სწორი პასუხები: ა3; ბ2; გ2; დ1; ე3; ვ1.
- 2. (6 ქულა) სწორი პასუხები: ა2; ბ3; გ1; დ1; ე2; ვ3.
- 3. (6 ქულა) სწორი პასუხები: ა3; ბ2; გ1; დ1; ე2; ვ3.
- 4. (6 ქულა) სწორი პასუხები: ა2; ბ2; გ3; დ1; ე3; ვ1.

პასიკ ლორთქიფანიძე  
ისტორიის დოქტორი,  
თბილისის №20 საჯარო სკოლის და  
სკოლა „ანი-ზეტის“ ისტორიის მასწავლებელი,  
ილიას უნივერსიტეტის ლექტორი,  
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
ეროვნული ცენტრის ტრენერი

სიასლა!



კლასიკური შოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პრეზენტები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძველმეცნიერების საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიტყვების წყარო
11. კვლევი რევი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინამიკა
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამხარის წარმოდგენა
16. ძარტველი მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცერება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- |                          |                          |                        |
|--------------------------|--------------------------|------------------------|
| 1. მინილ ჯავახიშვილი     | 10. იოსებ გრიშაშვილი     | 19. აკაკი წერეთელი     |
| 2. გიორგი ლეონიძე        | 11. პულიკარაძე კაკაბაძე  | 20. რუსთაველი          |
| 3. ირაკლი აბაშიძე        | 12. გურამ რჩულიშვილი     | 21. ვაჟა-ფშაველა       |
| 4. ნოდარ დუმბაძე         | 13. იაკოვ ხუცესი         | 22. თეიმურაზ I         |
| 5. მირზა ბელოუზანი       | 14. იონაე საბანიძე       | 23. ვახტანგ VI         |
| 6. აკაკი ბაქრაძე         | 15. დავით გურამიშვილი    | 24. გიორგი მერჯული     |
| 7. ვასილ გარნოვი         | 16. გენიკი               | 25. გრიგოლ ორბელიანი   |
| 8. პაულუ იაშვილი         | 17. რევაზ ინანიშვილი     | 26. დავით აღმაშენებელი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე ჭავჭავაძე | 27. გურამ ასათიანი     |

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- |  |   |
|--|---|
| 1. ცისფერი ბალერინები - დედა                   | 7. დელფოსელი სიბილა - მიძალანჯელი                       |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი            | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე                            |
| 3. მწყობრთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი                 |
| 4. ადელ გლოუ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი  | 10. საძინალო - რენუარი                                  |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რინი   | 11. საპირაო გასიერება, გრან-შატის კუნძულზე - შორე სიორა |
| 6. მინიები - ველასკესი                         |   |

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

# მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

**თითო ტომის ფასი - 12 ლარი**

- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი **ახალი**
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ **ახალი**
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი **ახალი**
- გუსტავ ფლოპერი - მადამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები

- ჰენრი რაილერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოლერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლოზა გულისა
- მაინ რიდი - კვარტალონი

## გამოცემლობა „დიოგანესა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე  
~~11 ლარი~~  
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“  
თამარ ბეროზაშვილი  
10 ლარი




საყვანილო ენციკლოპედია „სპორტი“  
~~10 ლარი~~  
4.90 ლარი



საყვანილო ენციკლოპედია „მუსიკა“  
~~17 ლარი~~  
14.90 ლარი




მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია  
~~45 ლარი~~  
35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია  
~~36 ლარი~~  
26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია  
~~40 ლარი~~  
30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთომეული  
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი  
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი კრებული  
ერთი ტომის ფასი ნაცვლად 11 ლარისა  
**9 ლარი**

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ სალსთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ ჩვენი დედამიწა
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები

- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ საშურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ქალაქები

## ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გოთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:  
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
**შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!**



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >